



အပေါ်များရရှိခဲ့သူများ၏ အကြောင်းအရာများကို လုပ်နည်းလမ်းကြောင်းတွင် လုပ်ဖွံ့ဖြိုးဆောင်ရွက်

# კანონის წესრიგის მიზანი

1934 ଫେବୃଆରୀ  
୨୫ ମସିହାରେ ୩୧

№ 17-18

ପାନ୍ଦୁତ୍ୟରାଳୀରା ତେବେବୀଲା

ა/კსლებრ სახალხო კომისარ-  
თა საბჭოს საქმეთა მმართ-  
ველობის გამოცემა.

3 0 5 3 3 6 6 0

- მუხ. 162. ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოწყობისა და საბჭოების არჩევნობის კამპანიის ჩატარების წესის შესახებ.

162-ა. „ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოწყობისა და საბჭოების არჩევნების კამპანიის ჩატარების წესის თაობაზე“ გამოცემული, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კონტინენტის პრეზიდუმის 1934 წ. აგვისტოს 15-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

163. 1935 წელს სელოვნებათა მეორე საამიერკავკასიო ოლიმპიადის მოწყობისა და ჩატარებისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კონტინენტის პრეზიდიუმთან არსებული კომიტეტის შედეგის დამტკიცების შესახებ.

164. ა/კსფსრ საბჭოების არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

165. ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის დღევაგატთა რიცხვის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო ქომისართა საბჭოსა

166. 1934 წლს ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა ერთდღოული ფარდასახადის შესახებ  
 167. ლვონის თვისების შესახებ.  
 168. კოლექტიურ მეურნეობებსა და ალი-ბაირამის და ყასუმ-ისმაილის სამარჯანი-სატ-  
     რსტრონ სადგურებს შორის ურთიერთი ანგარიშის გაწმორების შესახებ.  
 169. ადგილობრივი საშენი მასალის მრავევლობის საორგანიზაციო განმტკიცების შესახებ.  
 170. 1934 წლის მოსავლის ნებდი ბამბის დამზადების გეგმის შესახებ.  
 171. 1934 წლის მოსავლის ყვითელი ფამბაქოს დამზადების გეგმისა და ამ დამზადების  
     ორგანიზაციისათვის სპეციალური ლონისძიებათა შესახებ.  
 172. ა/ქსფსრ სტრესა კომპერაციის სისტემისა და ინვალიდთა კოოპერაციის მუშაობის  
     შესახებ.  
 173. ა/ქსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურისა და  
     შტატების შესახებ.  
 174. 1935 წლს ელექტრ ინჟინერების მიწოდებაზე ხელშეკრულებათა დადების შესახებ.  
 175. 1934 წლის მე-IV კვარტალისათვის ა/ქსფსრ კოლექტიური მეურნეობების საწარმოთ  
     დაკრიტიკულების ლიმიტთა განაწილების შესახებ.



176. ა/კსფსრ ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების ინვენტარიზაციისა და პასპორტიზაციის შესახებ.
177. ა/კსფსრ სარძო-სასაქონლო ფერმებისათვის ხბოების შესაძლებად 300.000 მანგიოს რაოდებობით გადადებული დამატებითი კრედიტის განაწილების შესახებ.
178. „უძროხო კოლეგიუნეთათვის ძროხების შექმნაში დახმარების გაშევის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 16-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.
179. 1935 წლის გაზაფხულისათვის ტრაქტორისტების მომზადების შესახებ
180. კომბაინერთა სკოლებში მოწაფეთა მეორედ მოგროვების შესახებ.
181. 1934 წლის მე-IV კვარტალში ა/კსფსრ-თვის შემთხვევის ტრაქტორების განაწილების შესახებ.
182. აზერბაიჯანში 1934/35 წელს სომხეთის და საქართველოს მეცხვარებისათვის ზამთრის საძოვრების გამოყოფის შესახებ.
183. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში ტრაქტორებისა, სასაფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომანქანების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის მომზადებისა და ჩატარების შესახებ.

### დადგენილებანი აზიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა,

**162.** ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოწყობისა და საბჭოების არჩევნების კამპანიის ჩატარების წესის შესახებ.

ამიერკავკასიის რენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღეცნა:

1. ა/კსფსრ-ში არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გახაწევად მოწყობილი იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიია შემდეგ ამხანაგთა შედეგენილობით: თოდრია (თავმჯდომარე), ჯ. სული, ლორთქიფანიძე, მერკულოვი, ამარუბნი, პავერმანი, იარცევი, კუზნეცოვი, გ. გრიგორიანი, ულენტი, დაშთოიანი, შამსადინსკი, სუსანა შავერდოვა, დ. ალანია, ტრდატიანი, ზიოროვი და ალაჯალოვი.

2. ა) საბჭოთა არჩევნების საანგარიშო კამპანია ჩატარებულ იქნეს ოქტომბრის 15-დან ნოემბრის 15-დღე;

ბ) სასოფლო საბჭოების არჩევნები ჩატარებულ იქნეს ნოემბრის 15-დან დეკემბრის 1-მდე;

გ) საქალაქო საბჭოების არჩევნები და აგრეთვე საბჭოთა სარაიონო ყრილობები ჩატარებულ იქნეს დეკემბრის 1-დან დეკემბრის 15-მდე;

დ) ავტონომიური რესუბლიკებისა და ავტონომიური ოლქებისა და ა/კსფსრ შედეგენილობაში შემავალი რესუბლიკების საბჭოთა ყრილობების მოწვევა დამთავრებულ იქნეს 1935 იანვრის 1-მდე.

3. ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VII ყრილობის დელეგატების არჩევნები, — ა/კსფსრ კონსტიტუციით (მე 8 მუხლი) გათვალისწინებული, ქალაქისა და სოფ-

ლის მოსახლეობის წარმომადგენლობის ნორმების დაცვით,—მოხდება ავტონო-  
მიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების და აკსფსრ შედგენილო-  
ბაში შემავალი რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობებზე.

4. შინადაღება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაუყოვნებლივ შეუდგენებ ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების მოწყობას და იმმართონ სათანადო ღონისძიებანი საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის მორიგი საარჩევნო კამპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის.

5. ჭინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამომზადებლო საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის გეგმების შედგენას და წარმოუდგინონ ეს გეგმები ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს არა უგვიანეს ა/ჭ. სექტემბრის 1-სა.

სამომზადებლო საანგარიშო-სარჩევნო კამპანიის მსეულელობის თაობაზე რეგულარულად, ყოველ დეკადაში, ინფორმაცია მიაწოდონ ამიერკავკასიის ცენტრალურ ღმისარულებელ კამიტეტს დადგენილი ღორიმით.

6. ამიერკავკასიის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაშ უნდა მოიწვიოს უახლოეს დროს ა/ქსფსრ შედგენილბაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა თათბირი კამპანიის ჩატარების შესახები წინამდგომარე სკითხებისა, მუშაობის გეგმებისა და ვალების განსახილველად და გადასაწყისებელად.

ଅମିଗ୍ରାନ୍ତକାବ୍ୟାସିଦୀଶ - କ୍ଷେଣତିରାଳଙ୍ଗରୀ

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

## ამიერკავკასიის კუნძრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოგალ. აღმასრ. დ. ალანია.

1935 ՀՅԱՆԿՐՈՒ 12.

ଶ୍ରୀ ପାତ୍ର

**162-ა.** „ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კოშისის მოწყობისა და საბჭოების არჩევნების კამპანიის ჩატარების წესის თაობაზე“ გამოცემული, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბრძოლიუშის 1934 წ. აგვისტოს 15-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

„საბჭოების მორიგი არჩევნებისა და მოკაშირე რესპუბლიკებში ყრილობებისათვის და სსრ კავშირის მე-VII ყრილობისათვის დელეგატების არჩევნების

შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილების შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

მე-2 მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1934 წ. ავისტოს 15-ის დადგენილებისა „ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოწყობისა და საბჭოების არჩევნების კამპანიის ჩატარების წესის შესახებ“ მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 2. ა) სასოფლო საბჭოების არჩევნები ჩატარებულ იქნეს 1934 წ. ნოემბრის 1-დან ნოემბრის 20 მდე;

ბ) საქალაქო საბჭოების არჩევნები და საბჭოთა სარაიონო ყრილობების მოწვევა ჩატარებულ იქნეს 1934 წ. ნოემბრის 20-დან დეკემბრის 10-მდე;

გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების საბჭოთა ყრილობების მოწვევა ჩატარებულ იქნეს 1934 წ. დეკემბრის 15-დან დეკემბრის 25-მდე;

დ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობები დამთავრებულ იქნეს 1935 წლის იანვრის 1-მდე

შენიშვნა. ა/კსფსრ მთიან ადგილებში არჩევნები შეიძლება მოხდეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებების მიხედვით, ზემოაღნიშნულ ვადებზე აღრე.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1934 წ. ოქტომბრის 4.

ტფილისი.

**163.** 1935 წელს ხელოვნებათა მეორე საამიერკავკასიონ ოლიმპიადის მოწყობისა და ჩატარებისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კომიტეტის შედგენილობის დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1935 წელს ხელოვნებათა მეორე საამიერკავკასიონ ოლიმპიადის მოწყობისა და ჩატარებისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან დამტკიცებულ იქნეს კომიტეტი შემდეგი შედგენილობით:

1. ამს. ფილიპე მახარაძე (თავმჯდომარე).

2. „ კარლო ორაგვილიძე.



3. ამბ. ბედია.
4. „ არისიანი.
5. „ მიკაელ ჭუსეინოვი (პასუხისმგებელი მდივანი).
6. „ თათარიშვილი.
7. „ აღაევი.
8. „ ეგიაზარიანი.
9. „ ახმეტელი.
10. „ ტატულოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია

1934 წ. ოქტომბრის 11.  
ტფილისი.

---

#### 164. ა/კსფსრ საბჭოების არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„საბჭოების არჩევნების შესახებ“ გამოცემული, სსრკ-ის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წ. ოქტომბრის 3-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 50 №-ი. მუხ. 524) და „საბჭოების არჩევნების ინსტრუქციის შეცვლისა და დამატების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილების („იზვესტიას“ 230 №-ი 1934 წ. სექტემბრის 30) შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქცია საბჭოების არჩევნების შესახებ.

2. წინადაღება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ის ცვლილებანი, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიან.

3. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ არჩევნების შესახებ ყველა, წინად გამოცემული დადგენილება და მისი განმარტება ჩაითვალის ძალადაკარგულად.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1934 წ. ოქტომბრის 17.  
ტფილისი.

---



## ი ნ ს ტ რ უ დ ი ა

**ამინისტრაციასის ცხრილალური აღმასრულებელი ქოვითებისა  
საბჭოების არჩევნების შესახებ.**

### 1. საარჩევნო კომისიები.

1. ა/კსფსრ-ში საარჩევნო კამპანიისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასა-  
წევად ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ეჭყობა ამიერ-  
კავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომლის შედეგენილობასაც პერსო-  
ნალურად ამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-  
ტის პრეზიდიუმი.

2. ამიერკავკასიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეკისრება:

ა) განახორციელოს საერთო მეთვალიურეობა ა/კსფსრ ტერიტორიაზე სა-  
არჩევნო კამპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის და მისცეს განმარტებანი  
ა/კსფსრ-ის საარჩევნო კანონმდებლობის შეფარდების შესახებ;

ბ) გაუწიოს ხელმძღვანელობა ა/კსფსრ შედეგენილობაში შემავალი რესპუბ-  
ლიკების ცენტრალური საარჩევნო კომისიების მუშაობას;

გ) წარადგინოს გასაუქმებლად ა/კსფსრ შედეგენილობაში შემავალი რეს-  
პუბლიკების ცენტრალური საარჩევნო კომისიების დადგენილებანი, რომლებითაც  
დარღვეული სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის საარჩევნო კანონმდებლობა.

3. ა/კსფსრ შედეგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საარჩევნო კამპანი-  
ისათვის ხელმძღვანელობის გასაჭევად ამ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმას-  
რულებელ კომიტეტებთან, მათი პრეზიდიუმების დადგენილებების მიხედვით,  
მოეწყობიან ცენტრალური საარჩევნო კომისიები.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგენილობა განისაზღვრება ა/კსფსრ  
შედეგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით.

4. ადგილებზე საბჭოების არჩევნებისა და ყრილობათა დელეგატების არ-  
ჩევნებისათვის საჭირო ღონისძიებათა უშუალოდ ჩასატარებლად — ავტონომიური  
რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და ავტონო-  
მიური ოლქების აღმასრულებელ კომიტეტებთან, აგრეთვე სარაიონო აღმასრულე-  
ბელ კომიტეტებთან, საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან და სარაიონო საბჭოების  
მქონე ქალაქებში — სარაიონო საბჭოებთან მოეწყობიან საარჩევნო კომისიები.

5. მე-4 მუხლში აღნიშნული საარჩევნო კომისიების შედეგენილობა განისა-  
ზღვრება შემდეგნაირად:

ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებ-  
თან და აგრეთვე ავტონომიური ოლქების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსე-  
ბული საარჩევნო კომისიის შედეგენილობა: თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი  
სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა (ავტონომიური რესპუბლიკის და ოლ-  
ქისა) და თითო წარმომადგენელი — პროფესიონალური კავშირისა, სრულიად სა-  
კავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, პოლიტიკური გან-

ყოფილებისა, წითელი არმიისა, მუშებისა, საქალაქო საბჭოებისა და კოლეგიურნებისა.

ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის კომისიის თავმჯდომარეს ამტკიცებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

საქალაქო საარჩევნო კომისიის შედგენილობა: თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი სათანადო საქალაქო საბჭოსი და თითო წარმომადგენელი—პროფესიონალური კავშირისა, სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, პოლიტიკური განყოფილებებისა, წითელი არმიისა, მუშებისა და კოლმეურნებისა (ქალაქებში მათ გვერდით შეიც სოფლის მოსახლეობითურთ.)

საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პნიშნავს: დამოუკიდებელ საადმინისტრაციო სამეურნეო ერთეულად გამოყოფილ ქალაქში—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი; ნარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარებული—საარჩევნო საარჩევნო აღმასრულებელი კომიტეტი; წევრებს ამტკიცებს სათანადო საქალაქო საბჭო.

სარაიონო საარჩევნო კომისიის შედგენილობა: თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა (სარაიონო საბჭოსი) და თითო წარმომადგენელი—რაიონის ტერიტორიაზე მყოფი ქალაქების საქალაქო საბჭოებისა (როგორც რაიონის ქვემოებარისა, ისე არაქვემდებარისა), პროფესიონალური კავშირისა, სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, პოლიტიკური განყოფილებებისა, წითელი არმიისა, მუშებისა და კოლმეურნებისა.

სარაიონო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პნიშნავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

სასოფლო საარჩევნო კომისიის შედგენილობა: თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი სათანადო სასოფლო საბჭოსი და თითო წარმომადგენელი—პროფესიონალური კავშირისა, სრულიად საკავშირო ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, პოლიტიკური განყოფილებებისა, წითელი არმიისა, მუშებისა და კოლმეურნებისა.

სასოფლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პნიშნავს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო წევრებს ამტკიცებს სათანადო სასოფლო საბჭო.

ყველა საარჩევნო კომისიაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ეროვნულ უმცირესობათა და მშრომელ ქალთა წარმომადგენლების მონაწილეობა.



II. ამომრჩეველთა წრისა და საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა წრის  
განსაზღვრა.

6. როგორც ამომრჩეველთა, ისე საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა სი-  
ების შედგენისა და შემოწმების დროს საარჩევნო კომისიამ უნდა იხელმძღვანე-  
ლოს სათანადო რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ცალკეულ  
პირებს და მოქალაქეთა ცალკეულ კატეგორიებს ჩამორთმეულ აქვთ საარჩევნო  
უფლება, სახელმისამართის;

ა) იმ პირთ, რომელნიც იყენებდნენ ან იყენებენ დაქირავებულ შრომას  
მოგების მიზნით;

ბ) იმ პირთ, რომელნიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ არაშრომითი შე-  
მოსავლით და აგრეთვე რომელნიც აწარმოებდნენ ან აწარმოებენ ვაჭრობას;

გ) იმ პირთ, რომელნიც, აჩერენების მომენტისათვის, თავიანთი კლასობ-  
რივი მდგომარეობით ან თავიანთი წარსული საქმიანობით ეკუთვნიან საარჩევნო  
უფლებაჩამორთმეულთა კატეგორიას ა/კსფს შედგენილობაში შემავალი სათა-  
ნადო რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად.

7. მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიებიდან საარჩევნო უფლება ჩამო-  
რთმევათ:

ა) იმ მიწათმომქმედს, მესაქონლეს, ზინამრეწველს და ხელოსანს, რომე-  
ლიც იყენებს დაქირავებულ შრომას სასეზონოდ ან მუდმივად ისეთი მოცულო-  
ბით, რაც აფართოებს მის მეურნეობას შრომითი მეურნეობის ფარგლებს იქით;

**შენიშვნა.** ამ შემთხვევაში შრომითი მეურნეობის ნიშანია დაქირა-  
ვებული შრომის დამხმარე ხასიათი და აუცილებელი მონაწილეობა სამუ-  
დამდეო მეშაობაში უწყებული მეურნეობის შინმყოფი შრომაუნარიანი  
წევრისა;

ბ) იმ კულაქს, რომელიც გამოსახლებულია სოფლიდან და დაბიდან, სა-  
დაც იგი წინად ცხოვრობდა, საბჭოთა საწინააღმდევონ და კოლექტიური მეურ-  
ნეობის საწინაღმდევონ გამოსვლებისათვის;

გ) მოვაჭრეს, სპეცუანტს, ჩარჩის, ვაჭრობის შუამავალს, გარდამყიდველს  
და მევაბშეს;

დ) იმ პირს, რომელიც იჯარით იღებს მიწას ისეთი პირობით, რასაც სა-  
რაიონო საგადასხადო კომისია სცნობს კაბალურ პირობად;

ე) იმ პირს, რომელიც, საგაჭრო და სამრეწველო ექსპლოატაციის მიზ-  
ნით, იჯარით იღებს ბალს, ვენახს და სხვა შისთ.;

**შენიშვნა.** ბალის, ვენახისა და სხვა შისთ. იჯარით იღება ისეთი  
რაოდენობით და ისეთი პირობების დაცვით, რის გამოც ეს იჯარა არ  
წარმოადგენს ნიშანს მოიჯარის დაბევრისათვის სასოფლო-სამუშაონ გა-  
დასახადით ინდივიდუალური წესისამებრ, არ შეიძლება ჩაითვალოს ნიშ-  
ალ მიიჯარისათვის საარჩევნო უფლების ჩამოსართმევად;

ვ) იმ პირს, რომელიც სისტემატურად აქირავებს ცალკეულ შენობას სა-  
ჭარბოს მოსათვალებლად ან საჭარბებლად — იმ პირობით, უკეთუ სათანადო



მავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საარჩევნო ინსტრუქციების დარღვევის გამო არჩევნების გაუქმება მოხდება მთლად საბჭოს წევრთა მთელი შედგენილობის მიმართ ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს დადგენილებით, ან ნაწილობრივ—საბჭოს ცალკეული წევრების მიმართ ცალკეულ საარჩევნო უბნებში (საწარმოო ერთეულებში, პროფესიონალურ კავშირებში და სხვა მისო.)—სასოფლო ან საქალაქო საბჭოს დადგენილებით.

არჩევნების გაუქმების შემთხვევაში ახალი არჩევნები მოხდება ამა ინსტრუქციით დადგენილი წესისამებრ.

39. ახალი არჩევნების ჩასატარებლად ინიშნება სათანადო საარჩევნო კომისიის ახალი შედგენილობა.

40. არჩევნების გაუქმების საფუძველად ითვლება სსრკ-ის კონსტიტუციისა და ა/კსფსრ-ის და მას შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კონსტიტუციებისა, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საარჩევნო ინსტრუქციისა, ამა ინსტრუქციისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საარჩევნო ინტრუქცების დარღვევა; ამასთანავე, არჩევნების გაუქმება გამოცხადდება საყოველთაო ცნობად—ან პუბლიკაციით ადგილობრივ პრესსაში, ან ამომრჩეველთა კრებაზე.

#### VI. საბჭოების ყრილობის მოწვევა.

41. საბჭოების ყრილობას მოიწვევს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ.

42. საბჭოების უწყებული ყრილობისათვის ჩატარებული არჩევნების სისწორის შესამოწმებლად საბჭოების ყრილობა ირჩევს სამართლო კომისიას/ საპარატო კომისიის დადგენილებებს ამტკიცებს საბჭოების ყრილობა..

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიზოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1934 წ. ოქტომბრის 17.

ტფილისი.

**165.** ამიერკავკასიის საბჭოების მე-VII რილობის დელეგატთა რიცხვის დაშატკიცების შეხახებ.

ა/კსფსრ-ის კონსტიტუციისა (მუხ.8) და ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობის მოწვევის შესახებ გამოცემული, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელის მოწვევის შესახებ

ბელი კომიტეტის 1934 წ. აგვისტოს 15 ისდაჟგერილების შესაბამისად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I. განისაზღვროს ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VII ყრილობისათვის დელეგატთა შემდეგი რიცხვი:

|    |  |            |
|----|--|------------|
| 1. | საქართველოს სსრ-დან, ავტონომიური რესპუბლიკებისა<br>და ავტონომიური ოლქების გარდა . . . . .  | 300 დელეგ. |
|    | აფხაზეთის ასსრ-დან . . . . .   | 26 "       |
|    | აჭარისტანის ასსრ-დან . . . . .   | 19 "       |
|    | სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქიდან . . . . .  | 8 "        |
| 2. | აზერბაიჯანის სსრ-დან, ავტონომიური რესპუბლიკებისა<br>და ავტონომიური ოლქების გარდა . . . . . | 333 "      |
|    | ნახიჩევანის ასსრ-დან. . . . .  | 12 "       |
|    | მთის ყარაბაღის ავტ. ოლქიდან . . . . .  | 15 "       |
| 3. | სომხეთის სსრ-დან . . . . .   | 118 "      |

II. არჩევნები ამიერკავკასიის საბჭოთა მე-VII ყრილობისათვის ჩატარებულ იქნეს:

ა) საქართველოს სსრ-სა და სომხეთის სსრ-ში — ამ რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობებზე;

ბ) აფხაზეთის ასსრ-სა, აჭარისტანის ასსრ-სა, ნახიჩევანის ასსრ-სა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქსა და მთის ყარაბაღის ავტ. ოლქში — ამ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების საბჭოთა ყრილობებზე.

III. რადგანაც დელეგატთა ზემოაღნიშნული რიცხვი მთლად უზრუნველ- ჰყოფს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი ყველა რესპუბლიკის და ოლქის წარმომადგენლაბას ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობაზე, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ვისაც ჯერ არს — არ წარმოგზავნოს დელეგატები სათაობირო ხმის უფლებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ეფენდიევი.

ა/იერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1934 წ. ოქტომბრის 25.

— ტფილისი.

**დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოსი.**

**166. 1934 წელს ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა ერთდროული  
გადასახადის შესახებ.**

„1934 წელს ინდივიდიალურ საგლეხო მეურნეობათა ერთდროული გადასახადის შესახებ“ გამოცემული, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 26-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 49 №-ი, მუხ. 380) — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

1. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 26-ის დადგენილების მე-II მუხლში აღნიშნული განაკვეთების ფარგლებში დააწესონ ერთდროული გადასახადის საბოლოო განაკვეთები რაიონებისათვის; ამასთანავე, დიდი ფულადი შემოსახალის მქონე ადგილებისათვის ერთდროული გადასახადის განაკვეთები შეიძლება გადიდებულ იქნეს, ხოლო არა უმტრეს, ვიდრე 50 პროცენტით ზღვრულ განაკვეთებთან შედარებით, რაც აღნიშნულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 26-ის დადგენილების მე-II მუხლში.

2. განსაზღვრონ ერთდროული გადასახადის გადახდის საბოლოო ვადები ისეთი ვარაუდით, რომ გადასახადის თანხის 50 პროცენტი შემოვიდეს არა უგვიანეს 1934 წ. ნოემბრის 15-სა, ხოლო მთელი გადასახადი — არა უგვიანეს 1934 წ. დეკემბრის 15-სა.

კულაკური მეურნეობების მიერ ერთდროული გადასახადის გადახდისათვის დააწესონ ერთი ვადა, თანაც არა უგვიანეს 1934 წ. ნოემბრის 15-სა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯულელი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ოქტომბრის 1.

ტფილისი.

გამოკვეყნებულია „შარია ვოსტოკას“ 229 №-ში 1934 წ. ოქტომბრის 2-ს



## 167. ლვინის თვისების შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ სათანადო ორგანიზაციების მხრით ყურადღების შესუსტების გამო უკანაკნელ ხანში გახშირდა ღვინის შენახვისა და დაყენებისათვის დადგენილი წესების უხეში დარღვევის შემთხვევები.

მთელ რიგ ორგანიზაციებში (სამომხმარებლო კოოპერაცია, სარეწაო კოოპერაცია, საკოლმეურნეო წერტები და სხვ.) შემჩნეულია ღვინის ფალსიფიკაციისა და გასაყიდად კარგი თვისებით ცნობილი მარკით დაბალ ხარისხოვანი და დეფექტიანი ღვინისა და კონიაკის გამოშვების მრავალი შემთხვევა.

ზემოაღნიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად და ღვინის ბაზრის გასაჯანსაღებლად ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ შინაგამრობის სახალხო კომისარიატს—იხმაროს ღონისძიებანი, რათა ყველა ორგანიზაციამ ზედმიწვნით შეასრულოს ყურძნის ღვინისა და კონიაკის დაყენებისა და შენახვისათვის დადგენილი წესები, გალდებულ-ჰყოს რა ისინა-გამოკიდონ ეს წესები თვალსაჩინო იდგილას ყველა ღვინის სარდაფში, შეღვინეობის კოლექტიურ მეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე ყურძნის ღვინის გადამუშავების პუნქტში და გაყიდვის ადგილებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს ამასთანავე ღვინის სარდაფების ტექნიკურ მდგომარეობას და დამყარდეს განსაკუთრებული მეთვალყურეობა სარდაფებისათვის ღვინის სახელმწიფო ინსპექციის მხრით.

2. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—იხმაროს ღონისძიებანი მარკიანი და დამდგარი ღვინის გამოშვების გადიდებისათვის იმ ვარაუდით, რომ შემცირებულ იქნეს ახალი, ნაკლებად დამდგარი და ნაკლებად დამუშვებული ღვინის გამოშვება.

ერთი თვის ვადაზე ა/ქსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა წარმოადგინოს ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში შეღვინეობის ტექნიკური ბაზისის გაუმჯობესებისა და მარკიანი და დამდგარი ღვინის გამოშვებისათვის საჭირო ღონისძიებათა პროექტი (სარდაფების და საწყობების მშენებლობა, ტარათი უზრუნველყოფა და სხვა მისთ.).

3. მუშა-მოსამსახურთა ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით მიენდოს ა/ქსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მეცნახეობის საკავშირო ინსტიტუტთან ერთად, შეიმუშაოს ღვინის დაყენების მეთოდი ოვითეული ტიპისათვის (ცალკე და რაიონობით, სხვადასხვა რაიონებში არსებული ღვინის დაყენების ხერხის მხედველობაში მიღებით და იმ საჭიროების მიხედვით, რომ განმტკიცებულ იქნეს ამათუიმ რაიონში განსაზღვრული ტიპის ღვინის დაყენება).

4. მიენდოს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) ჩატარონ მტკიცე ბრძოლა ღვინის ფალსიფიკაციასთან და გაყალბებასთან, აღლონ-რა დამნაშავენი პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით „არა კარგოვისებიანი პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის შე-

სახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საფუძველზე;

ბ) აუკრძალონ ლვინის გამყიდველ ორგანიზაციებს ბაზარში ლვინის გამოშვება ლვინის სახელმწიფო ინსპექციის წინასწარი შემოწმების გარეშე;

გ) იხმარინ ლონისძიებანი ლვინის სახელმწიფო ინსპექციის ლაბორატორიების გაფართოებისათვის, ამ ლაბორატორიების ყველა საჭირო სალაბორატორო ინვენტარით უზრუნველყოფისათვის და კვალიფიცირებული და გამოცდილ შეღვიწებით და ლაბორატორიული კიმიკოსებით აპარატის გამოტკიცებისათვის;

დ) ჩაატარონ ქალაქებსა და რიონებში ლვინის თვისების შემოწმება.

5. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) წინადაღება მისცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. მათიკა შვილს), შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ქუჩულორიატს), ცეკვშირს (ამხ. სუკორანს) და სარეწაო საბჭოს (ამხ. ბახტაძეს)—დაადგვან გადასახლელი სარდაფების მომუშავეთ, რომელიც პასუხისმგებელ არიან ლვინის შენახებისა და დაყენების დამტკიცებული წესების დარღვევისთვის და არაკარგთვისებიანი პროდუქციის გამოშვებისათვის; საბჭოთა და პარტიული კონტროლის ჯგუფის გამუჯლევის მისაღა გადაიცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაში;

ბ) მოუთითოს საქართველოს სსრ შინაგაჭრობის სახალხო კომისარიატის ლვინის სახელმწიფო ინსპექციის მმართველს ამხ. ისაკიას ლვინისა და ლიჭონორ-კონიაკის ნაკეთობათა კონტროლის სისუსტე და ხედმოქმედების ლონისძიებათა მიუღებლობა იმ ორგანიზაციებისა და პირების წინააღმდეგ, რომელიც დამნაშავენი არიან დაავადებული და ფალსიფიცირებული ლვინისა და ლიქიორ-კონიაკის ნაკეთობათა რეალიზაციაში;

გ) წინადაღება მისცეს საქართველოს სსრ პროკურორს—მოაწყოს დაუყოვნებლივ საჩვენებელი პროცესები ლვინისა და ლიქიორ-კონიაკის ნაკეთობათა დაყენებისა და შენახვის წესების დარღვევაში და არაკარგთვისებიანი, დაავადებული და ფალსიფიცირებული ლვინის გამუშვენებაში დამნაშავე პირთა წინააღმდეგ;

დ) გადასინჯოს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მეშვეობით მეღვინეობის ორგანიზაციების მოელი აპარატი, გასწმინდოს-რა იგი უცხო ელემენტებისაგან და მიიქციოს განსაკუთრებული ყურადღება კოლექტიური მეურნეობებისა და არტელების სარდაფთა კადრებს, რომლებიც შერეულია ყოფილი კერძო მოვაჭრეებით და დუქნების პატრონებით.

6. ეთხოვოს ამიერკავკასიის ცენტრალული აღმასრულებელ კომიტეტს—მიანიჭოს ლვინის სახელმწიფო ინსპექციის უფლება ჩამოართვას გამყიდველთ არაკარგთვისებიანი, დაავადებული და ფალსიფიცირებული ლვინო, აგრეთვე მიანიჭოს უფლება დააჯარიმოს არაკარგთვისებიანი პროდუქციის გამოშვებაში დამნაშავე პირნი ასი მანეთის ფარგლებში, ამ თანხების სახელმწიფო ხაზინაში შეტანით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ბ/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.



**168.** კოლექტიურ მეურნეობებსა და აღი-ბაირამლის და ყასუმ-ისმაილის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის ურთიერთი ანგარიშის გას-წორების შესახებ.

„სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ურთიერთი ანგარიშების გასწორების შესახებ“ გამოცემული, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აგვისტოს 26-ის დადგენილების დასამატებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს აზერბაიჯანის სსრ მთავრობისეული კომისიის მიერ დადგენილი, აღი-ბაირამლისა და ყასუმ-ისმაილის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი კოლექტიური მეურნეობების დავალიანების რაოდენობა 200.746 მანეთისა და 40 კაპ. თანხად.

2. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისადმი კოლექტიური მეურნეობების რეალური დავალიანება, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს 1934 წლის განმავლობაში, განისაზღვროს 165.497 მან. და 31 კაპ. რაოდენობით.

3. ეთხოვოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს—კოლექტიური მეურნეობების დანარჩენი დავალიანება, პროლენგირებულპყოს 1935 წლისთვის 7.391 მან. და 60 კაპ. რაოდენობით და 1936 წლისთვის—27.857 მან. და 49 კაპ. რაოდენობით.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—წარუდგინონ სასწრაფოდ სსრკ-ის ღიანანსთა სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს აშა დადგენილებით დამტკიცებული ანგარიშებასწორებანი აღი-ბაირამლისა და ყასუმ-ისმაილის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის, ყველა მასალითურთ.

5. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ მთავრობისეულ კომისიას—დამატებითი მასალა მოუწესრიგებელი ურთიერთი ანგარიშებისა, უკეთე ასეთი ანგარიშები ჯერ კიდევ არსებობს, წარმართოს უშუალოდ სსრ-კის ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და მიწათმოქმედების სახალო კომისარიატში და აცნობოს ეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯულელი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

**169.** ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის საორგანიზაციით განმტკიცების შესახებ.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივნისის 27-ის თარიღისა და 15<sup>20</sup> №-ის დადგენილების თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენის:

1. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის საწარმოთა სამმართველო აპარატის შემდეგი სტრუქტურა:

- ა. წითელი აგურის ქარხნებისათვის—წლიური ნაყოფიერებით 6 მილიონ ცალხე მეტისა, კირის ქარხნებისათვის—წლიური ნაყოფიერებით 6 ათას ტონამდე და დამოუკიდებელი კარიერებისათვის—15-დან 50 ათას კუბიკურ მეტრამდე:
  - ა) დირექტორი ქარხნისა (ან დამოუკიდებელი კარიერისა),
  - ბ) ტექნიკური ხელმძღვანელი,
  - გ) ქარხნის მექანიკოსი, იგივე მექანიკური სახელოსნოს გამგე,
  - დ) ბუხალტერი,
  - ე) მგეგმები,
  - ვ) 1 კაცი მომარავებისა და გასაღებისათვის,
  - ზ) ლაბორანტი, იგივე ტექნიკური კონტროლის გამგე.
- ბ. იმ ქარხნებისათვის, რომლების წლიური ნაყოფიერება პუნქტში აღნიშულ რაოდენობაზე ნაკლებია:
  - ა) დირექტორი ქარხნისა (ან დამოუკიდებელი კარიერისა),
  - ბ) წარმოების გამგე, იგივე მექანიკური სახელოსნოების გამგე,
  - გ) მგეგმვა-სტატისტიკისი,
  - დ) ბუხალტერი-მოანგარიშე,
  - ე) სამეცნიერო ნაწილის გამგე.
- 2. საწარმოთა ც განყოფილებები, ნაწილები და ჯგუფები, რაც ზემოაღნიშნული სტრუქტურით გათვალისწინებული არ არის, ლიკვიდირებულ იქნეს.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა, 1—2 მუხლებში აღნიშნული, საწარმოთა სამმართველო აპარატის ტიპური სტრუქტურის ანგარიშში შიღებით, უნდა დააწესონ მათვის 1934 წელს შტატები ისეთი ვარაუდით, რომ საინიციერო-სტრენიკო მომუშავეთა და მოსამსახურეთა რიცხვი არ აღემატებოდეს მუშათა საშულო-წლიური რიცხვის 12 პროც.

4. საწარმოთა ხელმძღვანელი სააღმინისტროცით სატექნიკო კადრების მიმართ მიზნით—აიკრძალოს საწარმოთა დირექტორებისა და ტექნიკური ხელმძღვნელების მოხსნა რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარის თანხმობის გარეშე.

დაწესებულ იქნეს, რომ ადგილობრივი საშენი მასალის ტრესტების მმართველთა შეცვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიაზთან შეთანხმებით.

6. წინადადება მიეცეს ა/სუსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაამყარონ რესპუბლიკებში ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის მმართველობის მმართველობის მმართველობის სისტემა; ამასთანავე

დიდრონ რაიონებსა და საქალაქო საბჭოებში შეიძლება მოეწყოს სპეციალური ტრესტები.

6. დაწესებულ იქნეს, რომ უწყებებს შეუძლიანთ ადგილობრივი საშენი მასალის საწარმოთა აგების დაწყება მხოლოდ ა/კსუსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების ნებართვით და სათანადო აღმასრულებელ კომიტეტების შეთანხმებით.

7. ა/კსუსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა გააძლიეროს კონტროლი ადგილობრივი საშენი მასალის ყველა საწარმოს მიმართ, მისი საუწყებო ქვემდებარეობის მიუხედავად, აგრეთვე კონტროლი იმ დამხმარე საწარმოთა მიმართ, რომლებიც ამჟამავებენ ადგილობრივ საშენ მასალას.

8. ადგილობრივი საშენი მასალის საწარმოთა მუშაობისათვის ფაქტიური კონტროლის გაწევის უზრუნველსაყოფად, დაევალოს ამ საწარმოთ—წარუდგინონ ხოლმე ა/კსუსრ ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს ანგარიშება სსრკ-ის სახალხო-სამეურნეო ოღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ, სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატთან ერთად, დადგენილ ვადაზე დაფორმით.

9. ადგილობრივი საშენი მასალის საწარმოებაში მუშაობა დენადობის მოსახურისა და მუდმივი კადრების შექმნის მიხნით ჩატარებულ იქნეს შემდეგი ლონისძებანი:

ა) მიმავრებულ იქნენ მუდმივი მუშაობისათვის საწარმოში მდლვანებელია პროფესიების მუშები: მეცეცხლური, ჩამსმელი, გამომფენი, გამოწვის ოსტატი, მბურღველი, ყორევის მტენი, სასეზონო აგრეგატებზე მომუშავე ოსტატი, მემაქანენი და ზეინკალნი, და გამოყენებულ იქნენ ეს მუშები სეზონის გარეშე დროს სხვა სამუშაოზე, რაც დაკავშირებულია სეზონისათვის მომზადებასთან;

ბ) მიღებულ იქნეს ლონისძებანი, რათა ზემოაღნიშნული კატეგორიები საერთო საცხოვრებლიდან გადაყვანილ იქნენ ბინებში, რისთვისაც 1935 წლის გეგჩებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს საწარმოთა საბინაო ფონდის საჭირო გთაროვება;

გ) დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—მიუჩინონ საწარმოთ ინდივიდუალური მებოსტნეობისა და სასურსათო ბაზისათვის ვარგისი მიწები—თვითებულ მუშაზე საშუალოდ 0,2 ჰექტარის ანგარიშით, უზრუნველჰქონ-რა ისინი თესლით, და მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით მომარაგება;

დ) ნება დაერთვას საწარმოთ—აძლიონ მუშებს და მოსამსახურებს შეღავაიან პირობებში საჭირო რაოდენობის ადგილობრივი საშენი მასალა სამეურნეო შენონობების (სარაიები, სარდაფები, სალორეები, საძროხეები და სხვა მისთ) ინდივიდუალური მშენებლობისათვის; თანაც ჩააბაზ მუშები და მოსამსახურები როგორც ამ მშენებლობისათვის საჭირო დამატებითი საშენი მასალის მოპოებაში, ისე თვით მშენებლობაში;

ე) წინადადება მიეცეს დამზადებათა კომიტეტს—მიუჩინოს ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის საწარმოთ რაიონები არანორმირებული სასო-

მეურნეობა, შენობის ამ გაქირავებით მიღებული შემოსავლის რაოდენობის შეხედვით, ეკუთვნის ისეთ მეურნეობათა კატეგორიას, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იძეგრებიან ინდივიდუალური წესისამებრ;

ზ) სამრეწველო ტიპის საჭარმოს მფლობელს, რომელიც ეწევა მოსახლეობის ექსპლოატაციას ამა თუ იმ სამუშაოს შინ მიცემით, ან ამ საჭარმოს იჯარად თუ ქვეიჯარად გაცემით;

თ) თეთრი არმიების ყოფილ ოფიცერს და მოხელეს და კონტრრევოლუციონური ბანდების ხელმძღვანელს;

ი) ყოფილი პოლიციისა, უანდარმთა განსაკუთრებული კორპუსის და დამცველ განყოფილებითა ყველა ყოფილ მოსამსახურეს და აგენტს, აგრეთვე ყველა იმ პირს, რომელიც პირდაპირ ან სხვა მხრივ ხელმძღვანელობას უწევდა პოლიციისა, უანდარმერისა და დამსჯელი ორგანოების მოქმედებას როგორც მეფური წესწყობილებისა, ისე თეთრ კონტრრევოლუციონურ მთავრობათა დროს, სახელმობრ: ყოფილ მინისტრს, მის ამხანაგს, სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორს, გენერალ-გუბერნატორს, მთავარმართებელს საგანგეო დაცვის დროს, სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორს, ვიცე-გუბერნატორს და აგრეთვე მათთან განტესებულ, განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელეს; შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეთი; საპატიმროთა უწყების ყველა ყოფილ მოსამსახურეს; სამეცნ გვარეულობის წევრს; გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურობის წინაძლოლს; სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარესა და წევრს და აგრეთვე სამოსამართლო პალატის პროკურორს და პროკურორის ამხანაგს; უაღრესი მინიშენელობის მქონე საქმეთა გამომძიებელს; სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრს; ყოფილი კონტრრევოლუციონური მთავრობის ტერიტორიაზე მომქმედი საგამომძიებლო კომისიების თავმჯდომარეს და წევრს; საგუბერნიო მმართველობის წევრს; საერობო საგლეხო და სამაზრო უფროსს და იმ პირს, რომელსაც რევოლუციამდე ეჭირა საკომანდო თანამდებობა სადისციპლინო ბატალიონში;

**შენიშვნა.** ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს უფლება აქვთ განსახლერონ სათანადო რესპუბლიკაში ჩამოგდებული მთავრობის (მენშევიკური, მუსავატური და დაშნაკური) შედგენილობიდან იმ პირთა წრე და ამ მთავრობასთან განწესებულ თანამდებობის პირთა წრე, რომელთაც უნდა ჩამოერთვას საარჩევნო უფლება;

ამა პუნქტში აღნიშნულ პირთათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა სათანადო რესპუბლიკის ფარგლებში გახდება საბუთად, რათა მათ ეს უფლება ჩამოერთვათ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ დანარჩენ რესპუბლიკებშიც;

ქ) ყველა რელიგიური კულტის ყოფილ და ახლანდელ შეახურს;

ლ) სააღმინისტრაციო წესით განდევნილ პირს—განდევნის ვადის განმავლობაში და აგრეთვე სასამართლოს განაჩენით საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირს.



**შენიშვნა.** თავისუფლების იღვეთის ადგილის მყოფი პირი საბჭო—  
ბის არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს.

8. საარჩევნო უფლება არ შეიძლება ჩამოერთვას შემდეგ პირთ, უკეთუ  
მათ ეს უფლება არ ჩამოერთმევათ სხვა საფუძველზე.

ა) იმ კოლმეურნებს და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეს, რომელიც იყე-  
ნებს თავის მეურნეობაში დროებით ერთი დაქირავებული მუშის შრომის პურეუ-  
ლისა, ტექნიკური კულტურულისა, ბალახისა და სხვა მისთ. მოსავლის აღების  
დროს განსაკუთრებულ გარემოებაში, როგორიც არის: ავადმყოფობა, მობილი-  
ზაცია, მუშათა და გლეხთა არმიაში გაწვევა, საჭიდოებრივ თანამდებობაზე  
არჩევა, რაც მოთხოვს მეურნეობისაგან ჩამოშორებას;

ბ) იმ კოლმეურნებს და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეს, რომელიც მი-  
დის სასეზონო სამუშაოზე და იყენებს თავის მეურნეობაში, სასეზონო სამუ-  
შაოზე წასელის პერიოდში, არა უმეტეს ერთი დაქირავებული მუშის შრომისა;

გ) ფაბრიკისა, ქარხნისა და საბჭოთა მეურნეობის იმ მუშას და მისი ოჯა-  
ხის ჭიდრს, რომელსაც კავშირი არ შეუწყვეტია სოფლის მეურნეობასთან და  
იყენებს თავის მეურნეობაში არა უმეტეს ერთი დაქირავებული მუშის შრომისა;

დ) იმ კოლმეურნებს, მშრომელ ინდივიდუალურ მიწათმომქმედს, მესაქონ-  
ლეს და მეთევზებს, რომელიც ასაღებს თავისი შრომის პროცესებს ბაზარზე;

ე) იმ შინამრეწველს და ხელოსანს, რომელიც აწიროვებს შრომითს მეურ-  
ნეობას დაქირავებული ძალის გამოუყენებლად, ან რომელსაც ჰყავს არა უმე-  
ტეს ორი შეგირდისა ან და რომელიც, წარმოების პირობების გამო, იყენებს  
ერთი დაქირავებული მოწრდილი მუშის შრომას.

**შენიშვნა.** ამა პუნქტში აღნიშნულ შინამრეწველს და ხელოსანს სა-  
არჩევნო უფლება არ ჩამოერთმევა იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ იგი ასაღებს  
ბაზარში თავისი წარმოების ნაკეთობას;

ვ) თავის დროზე თეთრი არმიების რიგებში მობილიზაციით გაწვეულ  
მუშას, მშრომელ გლეხს, კაზაქს, მოსამსახურეს, შინამრეწველს და ხელოსანს;

ზ) თეთრი არმიების ყოფილ ოფიცერს და მოხელეს, რომელიც შემდგომ  
იმყოფებოდა მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში და იღებდა აქტიურ  
მონაწილეობას საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ დაცვაში, აგრეთვე იმას,  
ვინც ამ უამაღ იმყოფება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნამდვილ სამ-  
ხედრო სამსახურში;

**შენიშვნა.** საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ დაცვაში აქტიურ  
მონაწილეობად იგულისხმება—სამოქალაქო ომის დროს სამხედრო დავა-  
ლების ყოველგვარი შესრულება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნა-  
წილებსა და სამმართველოებში როგორც ფრონტზე, ისე არმიის ზურგში;

თ) იმ პირს, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო სესხის მოგებისა და პრო-  
ცენტრის შემსავლით და სახელმწიფო შრომის შემნახველ სალარში ქონ-  
ბული დანაშავის შემოსავლით;

შენიშვნა. სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ უცხოეთიდან ფულადი თანხის და ფასულობის (პენსია, მემკვიდრეობა, ალიმენტები, საღაზღვეო საზღაური და სხვა მისო.) მიღება თავისთვად არ შეიძლება გახდეს ამ პირთაობის საარჩევნო უფლების ჩამორთმების საფუძვლად;

၅) შრომისა და ომის ინგალიფს, რომელიც განსაკუთრებული პირობების გამო ეწევა წერილ ვაჭრობის ხელშე და თაფხით, აგრეთვე იმ პირს, ვინც დროებით ეწევა ამავე წერილ ვაჭრობის უმუშევრობის ან დროებითი ინგალიფობის გამო;

კ) იმ პირს, ვინც თავისი შრომისათვის იღებს პროცენტულ გისამრჯელოს სახელმწიფო ან კოოპერატიული ორგანიზაციისაგან;

ლ) იმ პირს, რომელიც დაქირავებით ან რელიგიური თემის არჩევით ეწევა რელიგიური წესის სააღმინისტრო-ციონ-სამეურნეო და ტექნიკურ მომსახურეობას და რელიგიური წესის აღსრულების შენობის მომსახურეობას, სახელდობრ: მფალობელს, ორგანისტს, დარაჯს, დამლაგებელს, მეზარეს და სხვა მისო., და აგრეთვე სამწყემსოს საბჭოს წევრს;

მ) თავისუფალი პროფესიის პირს, რომელიც ეწევა საზოგადოებრივ-სასაჩვენებლივ შრომას;

6) საარჩევნო უფლებაჩამისრმმეული პირის ოჯახის წევრს საარჩევნო უფლებმ არ ჩამოვრმევა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მატერიალურად დამოკიდებული არ არის ამ პირისაგან და თავისი არსებობის წყაროდ აქვს დამაუკიდებელი საზოგადოებრივ-სასარგებლო უროშა;

საარჩევნო უფლება არ ჩამოერთმევა აგრეთვე საარჩევნო უფლებაჩამორთმეული პირის შვილს, რომელმაც სრულწლოვანობას მიაღწია 1925 წელს ან შემდგომ წლებში, და რომელიც სრულწლოვანობამდე იმყოფებოდა მშობლების რჩენაზე და ამ ქამად ეწევა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას,—თუნდაც იგი ცხოვრობდეს მშობლებთან ერთად.

9. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკურის კონსტიტუციების თანხმობად, სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ მუშას და გლეხს, რო-მელიც სხვის შრომას არ იყენებს, აქვს საარჩევნო უფლება. საარჩევნო კომი-სიებს შეუძლიანო მიანიჭონ საარჩევნო უფლება აგრეთვე სათანადო რესპუბლი-კის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთ მოსამსახურეთა და სინერგე-რო-სატექნიკო პერსონალის პირთა კატეგორიიდან, უკეთე მათ შესახებ არსე-ბობს საკმაო დამამტკიცებელი საბუთი სრული ლოიალობისა საბჭოთა ხელის-უფლების მიმართ.

III. საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ მოქალაქეთა სიების შედეგენა.

10. საბჭოების არჩევნების მომზალებისა და ჩატარების პერიოდში სარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა სიებს აღგენენ მარტოოლენ საქალაქო და სასოფლო საარჩევნო კომისიები და ამტკიცებენ: სოფლად—სარაიონო აღმსარულებელი კომიტეტები, ხოლო ქალაქი—საქალაქო და სარაიონო საბჭოები—კუთვნილებისამებრ. საარჩევნო კამპანიებს შორის მიმდინარე პერიოდში ამ სიებში

შეიტანებიან სასამართლოს განაჩენით საარჩევნო უფლებაჩამორთმეული პირნი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ სააღმინისტრაციო წესით განდევნილი პირნი. სოფლად საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა სიაში ზემოაღნიშნულ პირთა შეტანა ეყისრებათ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო ქალაქიდ—საქალაქო და სარაიონო საბჭოებს—კუთვნილებისამებრ.

**შენიშვნა.** საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა სიებში ვისიმე შეტანას სხვა საფუძვლების მიხედვით საარჩევნო კამპანიებს შორის მიმდინარე პერიოდში აწარმოებენ, უდავო ცნობების თანახმად, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო და სარაიონო საბჭოები—კუთვნილებისამებრ.

11. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სარაიონო საბჭოების მიერ დამტკიცებული, საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა სიები გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობად ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების შეშვეობით ან გამოკიდვით.

12. სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელთ, რომელიც მშრომელთა კატეგორიებს არ ეკუთვნიან და რომელთაც, ა/კსფსრ შედგენილობაში შემაგალი რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და ამა ინსტრუქციის თანახმად, საარჩევნო უფლება არა აქვთ, საარჩევნო უფლებაჩამორთმეულთა სიაში არ შეიტანებან.

13. საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა სიების შედგენა სწარმოებს დოკუმენტალური (ცნობების თანახმად).

14. საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა დამტკიცებული სიებიდან იმ მოქალაქეთა ამოშლას, რომელიც ამ სიებში არასისწორით არიან შეტანილი, აწარმოებენ როგორც ამ სიების დამამტკიცებელი ორგანოები (სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, საქალაქო და სარაიონო საბჭოები—კუთვნილებისამებრ), ისე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების საარჩევნო კომისიები და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური საარჩევნო კომისიები.

15. საარჩევნო უფლებაჩამორთმეულთა სიებში შეტანილ პირთ შეუძლიანთ განასახიერონ ეს დადგნილებანი ამა ინსტრუქციის 16—20 მუხლებში აღნიშნული წესით.

16. საჩივარს მოქალაქე შეიტანს იმ საარჩევნო კომისიაში, რომელმაც შეადგინა სია.

17. საარჩევნო კომისია, მიიღებს-რა საჩივარს, მოვალეა სამი დღის გადაზე მიღებიდან გადაუგზავნოს საჩივარი თავისი დასკვნითურთ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, საქალაქო საბჭოს ან სარაიონო საბჭოს—კუთვნილებისამებრ.

სასოფლო საარჩევნო კომისია წარმართავს მიღებულ საჩივარებს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში სარაიონო საარჩევნო კომისიის მეშვეობით.

18. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საარჩევნო კომისია — ში ან საქალაქო საარჩევნო კომისიაში მიღებულ საჩივრებს ეს კომისიები განიხილავენ სამი დღის ვადაზე და თავიანთი დასკვნითურთ წარმართავენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში ან საქალაქო საბჭოში — კუთხენილებისამებრ.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს საჩივრებს სამი დღის ვადაზე და თავის გადაწყვეტილებას აცნობებს მომჩინანს სათანადო საარჩევნო კომისიის მეშვეობით.

19. მოქალაქეთა საჩივრები იმის თაობაზე, რომ სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და საქალაქო საბჭოებმა არა სისწორით შეიტანეს ისინი საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთ სიებში, შეიტანება: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე ქალაქის საქალაქო საბჭოს დადგენილებაზე — სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში; სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოს დადგენილებაზე — ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში — კუთხენილებისამებრ.

ცენტრალური საარჩევნო კომისია შვიდი დღის ვადაზე განიხილავს მიერ მიღებულ საჩივრებს და თავის გადაწყვეტილებას აცნობებს მომჩინან.

20. საარჩევნო საქმეთა განო მთავრობის დაწესებულებებისა და თანამდებობის პირებისადმი მიმართვები და ამ დაწესებულებებისა და პირების მიერ გაცემული საარჩევნო საქმეთა შესახები დოკუმენტები და ცნობები განთავისუფლებულია გამოსაღებისგან.

21. იმ მოქალაქეთ, რომელთაც შეიტანეს ხელისუფლების ზემდგომ ორგანიებში საჩივრები საარჩევნო უფლების არასისწორით ჩამორთმევის შესახებ, — ვიდრე მათი საჩივრები საბოლოოდ არ იქნება განხილული ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესეუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ, — არ შეიძლება შეეფარდოთ რაიმე შეზღუდვა, საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის გარდა.

გამშეორებით საჩივრის შეტანა იმავე საფუძვლებზე არ ანთვარებულებს მომჩინანს საარჩევნო უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ, კანონით დადგენილ შეზღუდვათა შეფარდებისაგან.

**შენიშვნა.** იმ პირთა საარჩევნო უფლების საკითხებს რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთვათ ერთ-ერთ მოქავშირე რესპუბლიკაში ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ერთ-ერთ რესპუბლიკაში და შემდეგისინი საცხოვრებლად გადავიდენ სხვა რესპუბლიკაში ა/სუსრ ფარგლებში, — გადასწყვეტენ იმ რესპუბლიკის ორგანოები, სადაც ამ უამაღი ისინი ცხოვრობენ, საარჩევნო უფლების ჩამორთმევის აღგილიდან მასალების გამოთხვის შემდეგ.

22. ის პირი, ვინც უშლის ამომრჩევლებს განხორციელონ თავიანთი საარჩევნო უფლებანი, მიიცემა პასუხისფერებაში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის საქმეთა შესახები კანონმდებლის თანახმად.

## IV. საარჩევნო უფლების აღდგენის წესი.

23. საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირს, რომელიც ეკუთვნოდა ექსპლოატატორთა კლასს (მემამულე, ბურეუაზია, რელიგიური კულტის მახური), აგრეთვე პოლიციისა, უანდარმერიისა და საპატიმროთა უწყების ყოფილ ქვედა ტენიაკურ მოსამსახურეს შეიძლება აღდგინოს საარჩევნო უფლება იმ პირობით, უკეთუ იყი არა ნაკლებ, ვიდრე ხუთი წლის განმავლობაში ეჭვა ნაყოფიერ და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და მან დაამტკიცა თავისი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ამ პირთა საარჩევნო უფლება აღიდგინება სარაიონო ან საქალაქო (ათმოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეცნიერო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის) ან ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიისა ან და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა ან ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—კუთვნილებისამებრ.

**შენიშვნა 1.** ამა მუხლში აღნიშნულთა შორის იმ პირს, რომელიც პროფესიონალური კავშირის წევრია და რომელმაც გამოაშვარავ პატიოსანი შრომა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულება, უკეთუ იღმრულია სათანადო შუამდგომლობა, შეიძლება აღუდგინონ საარჩევნო უფლება ზემოხსენებულმა ორგანოებმა ხუთი წლის შრომის სტაჟის გარეშეც.

**შენიშვნა 2.** ამა ინსტრუქციის მე 7 მუხლის „თ“ და „ი“ პუნქტებში ჩამოთვლილ დანარჩენ პირთ, უკეთუ ისინი არა ნაკლებ ხუთი წლისა ეჭვიან ნაყოფიერ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და მათ დაამტკიცეს თავიანთი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, შეიძლება აღუდგინოთ საარჩევნო უფლება მხოლოდ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა ან ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილებით.

24. განდევნილი კულაკების შვილებს, როგორც სპეციალურ დაბებში და განდევნის ადგილას მყოფთ, ისე ამ ადგილების გარეშე, საარჩევნო უფლებას აღუდგენნო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები საცხოვრებელი ადგილის ინხედვით, იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი ეჭვიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და კეთილსინდისიერად მუშაობენ.

25. საბჭოთა საწინააღმდეგო და კოლექტიური მეურნეობების საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის წინად მათი საცხოვრებელი სოფლებიდან და დაბებიდან განსახლებულ კულაკებს,—უკეთუ ისინი ახალ საცხოვრებელ ადგილას თავს იჩენენ უცილობელი პატიოსანი მუშაობით და საბჭოთა ხელისუფლების ლონისძიებათათვის მხარის დაჭერით,—აღედგინებათ საარჩევნო უფლება გასახლებიდან ხუთი წლის გასტალის შემდგე, ხოლო მათ, ვინც სამი წლის განმავლობაში

იმუშავა ოქროს და პლატინის მრეწველობაში,—სამი წლის გასვლის შემდეგ—ა/კსტის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა, იყონომიური რესპუბლიკებისა და აცტიონომიური ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოების წარდგენისამებრ.

ამ კატეგორიის იმ პირთ, რომელიც დამკვრელები არიან წარმოებაში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ მუშაობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობიდან,—შეძლება აღუდგინონ საარჩევნო უფლება იმავე ორგანოებმა აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

**შენიშვნა.** ოჯახის პატრონის საარჩევნო უფლების აღდგენა ვრცელდება ოჯახის ყველა წევრზე, უკეთუ მათ მიმართ არ არსებობს სხვა საფუძვლები მათვის საარჩევნო უფლების ჩამოსართმევად.

26. სააღმინისტრაციო წესით განდევნილთა საარჩევნო უფლება და აგრეოვე იმ პირთა საარჩევნო უფლება, რომელთაც ჩამოერთვათ ეს უფლება სასამართლოს გრანატით (მე-7 მუხლის „ლ“ პუნ.), ალიდებინება, —უკურავ შეა ეს უფლება ჩამორთმეული არა აქვთ სხვა საფუძველზე, —მათ მიმართ სააღმინისტრაციო ან სასამართლო რეპრესიების მოშედების მოსპობის მომენტიდან, ხელისუფლების სათანადო ორგანოს სპეციალური დადგენილების გამოუტანლად.

27. იმ პირთ, რომელთა საარჩევნო უფლება აღდგენილია ზემდგომი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოები ვერ ჩამოართმევენ საარჩევნო უფლებას იმავე საფუძვლებზე.

#### V. საარჩევნო კრებები.

28. საბჭოს წევრთა არჩევნები მოხდება საარჩევნო კრებაზე.

29. საარჩევნო კრებას მოიწვევს საარჩევნო კომისია ან მისი რწმუნებული, მოხალეობისათვის საარჩევნო კრების მოწვევის დღისა და ადგილის შეტყობინებით არა უვევიანეს ხუთი დღისა კრებამდე.

30. ქალაქში და ქალაქის ტიბის მუშათა დაბაში, აგრეთვე დიდ საბჭოთა მეურნეობაში საარჩევნო კრება გაიმართება საწარმოო ერთეულში (საწარმო, დაწესებულება), პროფესიონალურ კავშირში და დიდ საბჭოთა მეურნეობაში.

დიდ სამრეწველო საწარმოში არჩევნები შეიძლება მოხდეს ცალკეულ ცენტებში სათანადო საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

სამანქანო სატრაქტორო სადგურებისა და მცირე საბჭოთა მეურნეობების მუშები მონაწილეობას იღებენ უახლოესი სასოფლო საბჭოს არჩევნებში.

სოფლიდ დიდრონი სოფლები საბჭოების არჩევნებისათვის შეიძლება და ყოფილ იქნეს საარჩევნო უბნებად.

პატარა სოფლები ან შეუერთდებიან უახლოეს დიდ სოფელს ან გაერთდებიან ერთ საარჩევნო უბნად.

ის მოქალაქენი, რომელიც საჭარმოში არ მუშაობენ და ორგანიზებული არ არიან პროფესიონალურ კავშირებში, სახელდობრ: შინამრეწველნი, დიასახლისნი, მეეტლენი და სხვა მისთ. არჩევნებში მონაწილეობას იღებენ ან სხვა ამომრჩევლებთან ერთად საჭარმო ან პროფესიონალურ კრებებში, ან ტერი-ტორიალურ ერთეულებში (რაიონი, უბანი და სხვა მისთ.)

31. სარჩევნო კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ ამ კრებაში მონაწილეობას იღებს 50 პროცენტი იმ პირთა რიცხვისა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სათანადო საარჩევნო უბნის არჩევნებში.

**შენიშვნა.** ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიინო დაწესონ უფრო დიდი შინიმუშმა.

32. საარჩევნო კრებაზე მიიშვებიან მხოლოდ საარჩევნო უფლების მქონე პირნი. საარჩევნო კრების წარმართვის წესი განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანომდებლობით.

33. არჩევნების დროს ხმის მიცემა მოხდება ან სიების მიხედვით, ან ცალკეული კანდიტატურების მიხედვით—თვით საარჩევნო კრების გადაწყვეტილებისამებრ.

**შენიშვნა** 1. საარჩევნო კომისიის და მის რწმუნებულს უფლებაა ბაარა აქვს თავისით წარუდგინოს ამომრჩევლებს არც ცალკეული კანდიდატები, არც კანდიდატთა სიები.

**შენიშვნა** 2. კანდიდატთა სიები ან ცალკეული კანდიდატები შეუძლიანთ წარადგინონ საზოგადო, პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა მოქალაქეებმა საარჩევნო კრებაზე; ან გამოაქვეყნონ საარჩევნო კრებამდე ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით ან გამოკიდვით. ხმის მიცემა სიების მიხედვით არა სპოს შესაძლებლობას სიებში შეტანილ ცალკეულ კანდიდატთა გადაინტებისას.

34. არჩევნები სურამოებს ხმის ახდილად მიცემით.

35. საბჭოს არჩევულ წევრებად ითვლებიან ის პირნი, რომელიც ხმის მიცემის დროს მიიღებენ საარჩევნო კრებაზე დამსწრე ამომრჩეველთა ხმის უმეტესობას.

36. ყველა განცხადება და საჩივარი არჩევნების წარმოების თაობაზე შეიტანება 7 დღის ვადაზე არჩევნების დამთავრების მომენტიდან წერილობით ან სიტყვიერად სათანადო საარჩევნო კომისიიში, რომელიც მოვალეა გაუგზავნოს იგი 3 დღის ვადაზე თავისი განმარტებით ზემდგომ საარჩევნო კომისიის.

ზემდგომი საარჩევნო კომისიი მოვალეა განიხილოს ეს საჩივარი და განცხადება შეიტანილი დღის ვადაზე მიღების დღიდან.

37. მუშაობის დამთავრებისას საარჩევნო კომისიები აბარებენ ყველა საარჩევნო მასალას სათანადო საბჭოს ან აღმასრულებელ კომიტეტს.

38. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შე-

19. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კო-  
მიტეტის რწმუნებულია ა/ქსფსრ-ში უნდა უზრუნველყოს, რათა შინაგაჭრობის  
სახალხო კომისარიატმა და რესპუბლიკების შინაგაჭრობის სახალხო კომისარია-  
ტებმა თავისი დროზე გამოჰყონ და შეზიღუნ მეთამბაქოების რაიონებში სამრე-  
წველო საქონელი სათანადო ასსორტიმენტისა, თამაჯოს დამზადების სტრული-  
რებისათვის დამტკიცებული კონტინგენტების ფარგლებში.

29. დაევალოს „სიოუზტაბაქირიოს“ სისტემის და „აფთამბაქოს“—წა-  
რუდგინონ ხოლმე სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზა-  
დებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/ქსფსრ-ში და იმავე კომიტეტის რესპუბლი-  
კანურ რწმუნებულთ სადეკადო საფოსტო ანგარიშება დაწესებული ფორმით.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯულელი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ოქტომბრის 10.

ტფილისი.

**172. ა/ქსფსრ სარეწაო კოოპერაციის ხისტემისა და ინგალიდთა კოოპერაციის  
მუშაობის შესახებ.**

მიუხედავად ა/ქსფსრ სარეწაო კოოპერაციის და ინგალიდთა კოოპერა-  
ციის წარმოების თვალსაჩინო ზრდისა, რაც იმაში გამოიხატა, რომ საერთო  
პროდუქცია 38 მილიონ მანეთიდან, 1927/28 წელს რომ იყო, გადიდდა 322,3  
მილიონ მანეთამდე 1933 წელს და წარმოებაში მოსაქმე პირთა რიცხვი 18,3  
ათასიდან, რაც 1927/28 წელს იყო, ავიდა 60 ათას კაცამდე 1933 წელს, მაინც  
ამ უამაღ სარეწაო კოოპერაციი ვერ ძემაყოფილებს საჭირო რაოდენობის ფარ-  
გლებში გადიდებულ მოთხოვნილებას ფართო მოხმარების საგნებისადმი.

ძირითადი მიზეზები იმისა, რომ სარეწაო კოოპერაციამ საქმარისად ვერ  
გაშეალა ამიერკავკასიაში ფართო მოხმარების საგნების წარმოება, არის: არა  
სათანადო აქტიობა და ბძოლა თვით სისტემებისა საწარმოო-საფინანსო გე-  
გმიების შესრულებისათვის, არასაკმარისი ხვედრითი წონა ფართო მოხმა-  
რების სენებისა საწარმოო გეგმაში; არასაკმარისი მუშაობა ადგილობრივი  
ნედლეულის მოპოებისა და გადამუშავებისათვის; ძლიერი დენადობა მუშა-ძა-  
ლისა და დიდი ფინანსიური დაძაბულობა—უმთავრესად იმის გამო, რომ ფი-  
ნანსიური მეურნეობის სტრუქტურაში არ არსებობს გარკვეულობა და მოგვა-  
რებული არ არის გამსალებლობითი საქმიანობა.

სარეწაო კოოპერაციის საქმიანობაში 1933 და 1934 წელს თავი იჩინა  
აგრეთვე საორგანიზაციო და საწარმოო შესუსაბამისამ, ქონების გაფლანგვაშ,

გატაცებამ და, ცალკეულ შემთხვევებში, ორტელებისა და სარეწოო კონპერატიკების ხელმძღვანელობის შესისხროებამ ქერძო მოვაჭრებებთან.

ა/კსტარ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშვნაც, რომ სარეწოო კონპერატიკის ამიერკავკაზიაში აქვს ყველა შესაძლებლობა საესპიით უზრუნველყოფის ფართო მომხმარების საგნების წარმოების როგორც ძირითადი საჭარმოო, ისე დამატებითი გეგმის შესრულება.

ამასთან დაკავშირებით ა/კსტარ სახალხო კომისართა საბჭო აღდგნს:

1. მასსური მომხმარებლის თვისებრივ განვითარებული ინდივიდუალური მოთხოვნილების დაკავშირებილების მიზნით—გაფართოებულ იქნეს ორსებული წარმოებანი (ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავაჯულობის და სხვა მისთ.), და აგრეთვე მოწყობილ იქნეს შემდეგი წარმოებანი:

ა) კალათების წენა ტვირთვისათვის, ყურძნისა და ხილ-ბოსტნეულის მოკრეფისა და გადაზიდვისათვის, სამეურნეო და საგზაო საჭიროებისათვის და სხვ.;

ბ) ჭილობისა, შლაპებისა და სხვა ყოველგვარი წნული ჩაკეთობის წარმოება ჩილისაგან, კერძოდ—ბრინჯისა და სიმინდის ღეროსაგან;

გ) ხის ქურმლეულისა და ყოველგვარი სამეურნეო სავნის წარმოება ხისაგან;

დ) მხატვრულ ნაკეთობათა წარმოება ძვირფასი ჯიშების ნაჩენისაგან (ზზა, ურთხმელა, კაქალი, ოდალაჯი, ბ.მბუჭი და სხვა მისთ.);

ე) ტექნიკურ და მხატვრულ ნაკეთობათა წარმოება მარმარილოსაგან, აქატისისაგან, ონიქსისაგან და სხვა ქვისაგან;

ვ) გაფართოებულ იქნეს საბავშვო საქონლის წარმოება და ასსორტიმენტი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სათამაშოები და სხვა მისთ.);

ზ) თვალისიჩინოდ გაფართოებულ იქნეს შინაური ავეჯულობის წარმოების და ლითონის ნაკეთობის ასსორტიმენტის;

თ) გაფართოებულ იქნეს სარფინისა, შოტლანდისა და სხვა ჭრელი ქსოვილების წარმოება ნორარაბკირში და ეს წარმოება შთაინერგოს საშინამრეწველო ფეიქრობის გავრცელების სხვა რაიონებშიაც; აგრეთვე დაემატოს საშინამრეწველო სავარიფრინ ნაკეთობათა ასსორტიმენტის მთელი რიგი საშინამრეწველო ქსოვილები, როგორც ბაბბისა ისე მატყლის და აბრეშუმისა, რაც წინადართოდ იყო გავრცელებული და ახლა-კი მოისპო; ამასთანავე, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს მოთხოვნილება ამ ნაკეთობათამდი და მათი შეკაბამობა თანა-დროულ კულტურულ საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებთან.

ი) გადიდებულ იქნეს საპინისა, თკლების საცხებლისა, ტუტისა, ლილის, ფეხსაცმლის კრემისა, სალებავებისა და საოჯახო საჭიროების ყოველგვარი ქიმიური ნაკეთობის წარმოება;

კ) გაფართოვდეს საგალანტერიო წამოება მით, რომ შემოღებულ იქნეს მთელი რიგი ახალი სახის წარმოება ძვლისა, მღინარის ნიუარისა, რქისა და ჩლიქისაგან; ყოველგვარი თასმეულისა, საშლაპო რეზინისა, შემოსაკრავებისა, ბანდაჟებისა და სხვა მისთ.; აგრეთვე ზონრებისა და სხვა საკერავი გალანტერიის წარმოება;

ლ) გაფართოვდეს საკონტიტუ-საკონფერტო წარმოება მით, რომ აღდგნილ იქნეს აღმოსავლური ტებილულობის წარმოება თაფლზე, ყურძნის წვენზე, ბაქმაზე და სხვა მისთ. დაყენებით, რისთვისაც შესაძლებელია მიერ-კავკასის ხილბოსტნეულის სიმღიდრეთა გამოყენება;

მ) გაშლილ იქნეს გამოლვილი თევზის და სხვა ყოველგვარი თევზეული პროდუქტის წარმოება.

2. სარეწაო კომპერაციის საბჭოებმა და კავშირებმა უნდა იხმარონ რეა-ლური ღონისძიებანი პროდუქტის თვისების გასაუმჯობესებლად (შეიმუშაონ და მიაწოდონ არტელებს რეცეპტურა და სტანდარტები უფრო მნიშვნელოვან წარმოებათა ხაზით, დააწესონ ბრაკერაჟი და გამოშვებულ ნაკეთობათა მა-რკირება და დაღის დასმა; დაამყარონ პერსონალური პასუხისმგებლობა გამო-საშვები პროდუქტის თვისებისათვის და სხვა მისთ.).

3. სახელმწიფო ბანკმა უნდა გააფართოს მეორე კვარტალში სარეწაო კო-მპერაციისა, ინვალიდთა კომპერაციისა, ღარიბ ებრაელთა დამსმარე კომიტე-ტისა და შინამრეწველობის სხვა ორგანიზაციების დაკრედიტება, ამ ორგანიზა-ციების მიერ ფართო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოების შესა-ბამისად.

სრულიად საკავშირო კომპერატიულმა ბანკმა უნდა მოიცეს დაგეგმვით და კონტროლით დაუინანსება და სახსართა ათვისება სარეწაო კომპერაციის სის-ტემების—სატექო და საინვალიდო—კაპიტალური მშენებლობის ხაზით ა/კსფ/ს შესავალ უცელა საში რესპუბლიკაში.

4. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომი-ტეტის რწმუნებულმა ა/კსფს-ში, ა/კსფს აღგილობრივი მრეწველობის სახალ-ხო კომისარისატთან ერთად, უნდა შეიმუშაოს საკითხი სარეწაო კომპერაციისა-თვის რაიონების გამოყოფის შესახებ ტყავნედლეულისა და მატყლის გეგმიანი დამზადებისათვის.

5. აღიძრას საკავშირო საჭამადი მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე შეამდგომლობა, რათა სარეწაო კომპერაციის ეძლეოდეს ამიერკავკა-სის საკონსერვო ქარხნებიდან თუნუქის ნარჩენი.

6. აღსანიშნავია-რა, რომ სარეწაო კომპერაციამ საქმიანისად ვერ გაშა-ლა სავაჭრო საქმიანობა,—წინადადება მიეცეს სარეწაო კომპერაციის საბჭოებს და კავშირებს—გაშალონ საკუთარი მაღაზიების ქსელი თვისის პროდუქტის რეალიზაციისათვის და თვენახევრის ვარაზე გახსნან საჩვენებელი უნივერსალუ-რი მაღაზიები, საშინამრეწველო საგაჭრო პუნქტები, რომლებიც იგაჭრებენ მა-რტოლენ შინამრეწველობის პროდუქტით, ქ. ტფილისში, ბაქოში, ერივანში, განჯაში, ქუთაისში, ბათუმში და სოხუმში; სავაჭრო ქსელის ასსორტიმენტის შესავსებად ყოველი ღონისძიებით გაფართოებულ იქნეს თვითშესყიდვები ა/კსფს შედგენილობაში შემავალი რასპუბლიკების სარეწაო კომპერაციის შორის, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სარეწაო კომპერაციის შორის, და არაკომპერირებულ შინამრეწველთა პროდუქტის შესყიდვები.

7. დენადობის აღმოსაფხვრელად და კომპერირებულ შინამრეწველთა კვა-ლიფიკაციის ასამაღლებლად—ა/კსფს სარეწაო კომპერაციის რესპუბლიკანუ-



მა საბჭოებმა და კავშირებმა უნდა შეიმუშაონ და წარმოადგინონ არ ა უგეიინს ნოემბრის 25-სა კონკრეტული ღონისძიებანი საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის ოსტატებისა, ხელმძღვანელი მომუშავებისა, მთანგარიშე მომუშავებისა და სხვა მისთ. მომშადებისათვის, მიაქციონ-რა განსაკუთრებული ყურადღება სოფ-ლელ შინამრეწველთ და ადგილობრივი ნედლეულისაგან ნაწარმის შესწავლას.

8. ახალ წარმოებათა განვითარებისა, ახალი სახის ადგილობრივი ნედლეულის ათვისებისა, უკვე ჩახშულ, მაგრამ ამ ქამად საჭირო რეწაობათა აღდგენისა და აგრეთვე გამოსაშვებ ნაკეთობათა თვისების გაუმჯობესების მიზნით—საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და სარეწაო კავშირმა უნდა გადასანჯონ ერთი თვის ვადაზე საქართველოს წვრილი მრეწველობის სამეცნიერო-ექსპერიმენტაციური ინსტიტუტის და მასთან არსებული შინაგარეწველობის მუზეუმის მუშაობის პროგრამა და წარუდგინონ განსახილველად ა/კსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოხსენება ამ დაწესებულებათა შემდგომი მუშაობის შესახებ, წარმართონ-რა ეს დაწესებულებანი ისე, რომ ნამდვილ მომსახურეობას უწევდენ სარეწაო კოოპერაციას როგორც ახალ ნაკერობათა წარმოების შთანერგვისა, ისე თვისების გაუმჯობესების სფეროში.

9. ვინაიდან საბჭოთა ორგანოებს, განსაკუთრებით ადგილობრივებს, სათანადო შეფასებული არა აქვთ შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მიზნებით,—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა მიანდონ პროექტაციურს:

ა) უცილობლად განაპროტესტოს ადგილობრივი ორგანოების არა სწორე და კანონის დამრღვევი დადგენილებანი სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციების მიმართ, კერძოდ ისეთი დადგენილებანი, რაც მიმართულია სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციების პრერატიულ მუშაობაში ჩატარებისა და მათთვის სამრეწველო საწარმოთა ჩამორთმევისაკენ კანონით დადგენილი წესის გარეშე, რომლის ძალითაც საამისოდ საჭიროა გამოთხოვილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინასწარი ნებართვა და ეცნობოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს (სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება—კან. კრ. 1930 წ. 30 №-ი მუხ. 338, პ. 3);

ბ) აძლიოს პასუხისმგებაში სისხლის სამართლის ან საადმინისტრაციო წესით ყელა თანამდებობის პირი, რომელიც დაარღვევს საბჭოთა კანონმდებლობის დადგენილ, სარეწაო კოოპერაციის უფლებებს და შეღავათებს სადგომების დაქიარებისა, საგადასახადო დაბეგვრისა, მომარაგებისა, შინამრეწველთა კოოპერირებისა და სხვა მისთ სფეროში;

გ) თვალყური ადვენოს, რათა სარეწაო კოოპერაციის შესახები კანონების დარღვევის საქმეები სასამართლო ორგანოებმა განიხილონ სასწრაფო წესით.

10. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გამოკველევის მეშვეობით უნდა შეამოწმოს საფინანსო ორგანოების მუშაობა სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოასტრაციის გადასახად-გამოღებით დაბეგვრის სფეროში, გამოსაწოროს ჩადენილი გადახრები, კერძოდ—ადგილობრივი ორგანოების მიერ სარეწაო კოოპერაციისათვის გამოსაღების დაკისრება სხვადასხვა ადგილობრივი საჭირო-

ების დასაქმაყოფილებლად, და მისცეს საგადასახადო პოლიტიკის დამახინჯებაში დამნაშავე პირნი პასუხისმგებაში; თანაც იხმაროს ლონისძიებანი აღგილებზე დაბე გვრის კანონიერი წესის დამყარებისათვის.

11. ა/კსფსრ შედევნილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/კსფსრ შინაგანჭრობის სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველყონ სარეწაო კოოპერაციის იმ წევრების, რომელნიც საერთო სახელო-სნოებში მუშაობენ, საულუფო ჰურით მომარავება სახელმწიფო და აღგილობრივი მრეწველობის სათანადო დარღების მუშათა და მოსამსახურეთათვის დადგენილ საერთო საფუძვლებზე.

12. მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისროს ა/კსფსრ აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯულიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მშარტველი დ. თამუჯოვანი.

1934 წ. ოქტომბრის 10.  
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 242 №-ში 1934 წ. ოქტომბრის 17-ს

**173.** ა/კსფსრ აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქ-  
ტურისა და შტატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:  
დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ აღგილობრივი მრეწველობის სახალხო კო-  
მისარიატის შემდეგი სტრუქტურა და შტატები:

|  |    |
|--|----|
| 1. სახალხო კომისარი  | 1  |
| 2. სახალხო კომისარის მოადგილე (მთავარი ინჟენ.)                       | 1  |
| 3. მდივანი—სტენოგრაფისტი   | 1  |
| 4. საადმინისტრაციო-სამუშაონებო ნაწილი                                | 9  |
| 5. აღრიცხვისა, დაგეგმვის და ანგარიშების სექტორი                      | 10 |
| 6. საშენი მასალისა და ხის დამმუშავებელი მრეწვე-<br>ლობის სექტორი     | 4  |
| 7. ლითონდამუშავებისა, სამთაბადნო და ქიმიური მრე-<br>წველობის სექტორი | 5  |
| 8. საფეიქრო, ბამბეჭულისა და ტყავის მრეწვ. სექტ.                      | 7  |
| 9. საგამადო მრეწველობის სექტორი                                      | 3  |
| 10. სარეწაო კოოპერაციის სექტორი                                      | 2  |



|   |             |
|---|-------------|
| 11. სპეციალური სექტორი . . . . .                    | 2           |
| 12. კადრებისა და მუშაობა მომარგების ჯვალი . . . . . | 2           |
| ს უ ლ . . . . .                                     | 47 ერთეული. |

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯულელი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ოქტომბრის 16.  
ტფილისი.

---

174. 1934 წელს ელექტროენერგიის მიწოდებაზე ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

ელექტროენერგიისადმი რეალური მოთხოვნილების თავის დროზე გამოკლინებისა და მომხმარებელთა შორის ენერგიის განაწილებაში მეტი ვარკვეულობის შეტანის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო იდგენს:

1. დაევალოს ელექტროენერგიის ყველა მომხმარებელს წარუდგინოს ორი დეკადის ვადაზე „ა/კენერგოს“ ზედმიწევნითი განაცხადი 1935 წელს მისამართის საჭირო ელექტროენერგიის შესახებ და დასდოს „ა/კენერგოსთან“ ხელშეკრულება ელექტროენერგიის გაცემას თაობაზე.

2. ხელშეკრულებათა დადების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს 1934 წელს მომქმედი ტარიფები; ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ უკეთ ეს ტარიფები შეიცვალა, ანგარიში მხარეთა შორის გასწორებულ უნდა იქნეს ახალი დამტკიცებული ტარიფების საფუძველზე, სათანადო გარდაანგარიშებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. შუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ოქტომბრის 28  
ტფილისი.

---

**175.** 1934 წლის მე-IV კვარტალისთვის ა/კსფსრ კოლექტიური მეურნეობების საწარმოო დაკრძალების ლიმიტთა განაწილების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სასოფლო სამეურნეო ბანკის მიერ 1934 წ. მე-IV კვარტალში ა/კსფსრ კოლექტიური მეურნეობების საწარმოო დაკრძალებისათვის გადადებული ლიმიტები 661 ათასი მან. რაოდნობით განაწილებულ იქნეს რესპუბლიკურზე და ლონისძიებებზე შემდეგნაირად:

| ლონისძიებანი                         | აზ. სსრ | სომხ. სსრ | საქ. სსრ | ა/კსფსრ |
|--------------------------------------|---------|-----------|----------|---------|
| სარქეო, მეცხვ. და მეღორ. სას. ფერმ . | 80,0    | 60,0      | 60,0     | 200,0   |
| მეცხენეობის სასაქ. ფერმები . . . . . | 11,0    | 10,0      | 10,0     | 31,0    |
| მეჩაიობა . . . . .                   | —       | —         | 400,0    | 400,0   |
| ჯგუფი ბ . . . . .                    | 10,0    | —         | 20,0     | 30,0    |
| სულ . . . . .                        | 101,0   | 70,0      | 490,0    | 661,0   |

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. მუხაბეკოვი.

1934 წ. ოქტომბრის 28.

ტფილისი

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვა.

**176.** ა/კსფსრ ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების ინვენტარიზაციის და პასპორტიზაციის შესახებ

ა/კსფსრ-ში არსებული ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების ფონდის რაციონალურად გამოყენებისა და მათი განაწილების და დატვირთვის მტკიცებების დამყარებისა, აგრეთვე საძოვრების გასაუმჯობესებლად უმარტივეს ლონისძიებათა განხორციელების მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ჩატაროს 1934 წლის განმავლობაში როგორც ზაფხულისა, ისე ზამთრის

საძოვრების ინვენტარიზაცია, თვითეულ საძოვარ ნაკვეთზე კარტა-პასპორტის შედგენით და სამუშაოების დამთავრებით: ზამთრის საძოვრების ხაზით—1935 წ. თებერვლის 15-თვის და ზაფხულის საძოვრების ხაზით—1935 ოქტომბრის 15-თვის.

2. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვა აღნიშნული სამუშაოებისათვის 241.830 მან. რაოდენობით; აქედან: ზამთრის საძოვრების ინვენტარიზაციისათვის—101.588 მან. და ზაფხულის საძოვრების ინვენტარიზაციისათვის—140.242 მან..

3. წინადაღება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გაითვალისწინონ აღნიშნული თანხა 1935 წლის ბიუჯეტში ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

წინადაღება მიეცეს ა/კსუსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მისცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 1935 წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში სესხად 50.000 მან. საძოვრების ინვენტარიზაციისა და პასპორტიზაციისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოჰყონ სესხის სახით იმავე საჭიროებისათვის 50.000 მან, საიდანაც: აზერბაიჯანის სსრ—20.000 მან., სომხეთის სსრ—10.000 მან. და საქართველოს სსრ—20.000 მან.

4. ზამთრის საძოვრების ინვენტარიზაციის ჩასატარებლად მოწყობილ იქნეს ნოემბერ-იანვრის ვადით სპეციალისტთა 11 კომისია ზამთრის საძოვრების ხაზით მუშაობისათვის (მათ რიცხვში: 8 აზერბაიჯანის სსრ-ში, 2—საქართველოს სსრ-ში და 1—სომხეთის სსრ-ში) და იგნის-აგვისტოს ვადით—10 კომისია ზაფხულის საძოვრების ინვენტარიზაციისათვის: (3—აზერბაიჯანის სსრ-ში, 3—სომხეთის სსრ-ში და 4—საქართველოს სსრ-ში) შემდეგი შედეგის ილობით: ერთი ზოოტექნიკოსი, ერთი მემინდვრებობის მცოდნე და ერთი მიწათმოქმედი თვითეულ კომისიაში.

5. წინადაღება მიეცეს ა/კსფსრ-ბის სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) მობილიზებულჲყონ საჭირო მომზადენი ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პერსონალური სიის მიხედვით და წარმართონ ისინი ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მთლად იმ დროის განმავლობაში, რაც სამუშაოები გაგრძელდება, მათვეს მათი თანაშედებობისა და ჯამაგირის შენარჩუნებით;

ბ) დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—ჩაურთვან კომისიებში სარაიონო ზოოტექნიკოსი და საძოვრების ინსპექტორი ამ კომისიების მუშაობის რაიონებში;

გ) ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კომისიების მუშაობას და უზრუნველჲყონ ისინი მიმოსვლის საშუალებით, კერძოდ—ზამთრის საძოვრების ხაზით მუშაობის

ფლო-სამეურნეო პროდუქტების დეცენტრალიზებული შესით დამზადები-სათვის;

ვ) დაწესებულ იქნეს მუშების თანაბრძალ მომუშავე ბრიგადირებისათვის დამატებითი სასყიდელი 15-დან 30 მანებამდე თვეში, ბრიგადაში მყოფ მუ-შათა რიცხვისა და მისი მუშაობის ხასიათის მიხედვით.

20. ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის საწარმოთა მყარი სა-აღმინისტრაციო-სატექნიკო კადრების შექმნის მიზნით—დაწესებულ იქნეს, რომ ტექნიკური ხელმძღვანელები, მექანიკოსები, მთავარი ბუჭხალტრები და შეგვ-მები ძირითილი ჯამავირის დამატებად, საწარმოს დირექტორის გადაწყვეტი-ლებით, იღებენ ერთსა და იმავე საწარმოში 2 წელიწადზე მეტი მუშაობისა-თვის—10 პროცენტს და 3 წელიწადზე მეტი მუშაობისათვის—20 პრო-ცენტს.

11. წინიდადება მიეცეს ა/კსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოჰყონ, ადგილოგრივი საშენი მასალის მრეწველობის ტექნიკური ხელმძღვანელობის განმტკიცების მიზნით, სპეციალური უმაღლესი ტე-ქნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთაგან და წარმართონ აგურისა, კრამიტისა, კირისა და სხვა, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში სა-მუშაოდ: 1934 წელს—10 კაცი და 1935 წელს—15 კაცი.

12. 1935 წლის სამშენებლო სეზონისათვის მოსამზადებლად—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაავალონ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარაატებს—ერთი თვის ვადაზე:

ა) შეიმუშაონ საკითხი აგურის წარმოებაში ალიზის დაყალიბების სეზო-ნის გაგრძელების შესახებ;

ბ) იხმარინ ყოველი ღანისძიება აგურისა და კრამიტის ქარხნების საშრო-ბი მეურნეობის გაფართოებისათვის—არსებული ღმულების სრულ ძალოვნე-ბამდე და საშრობი სარაიების ბრუნვის მაქსიმალურად გადიდებისათვის;

გ) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჟყოფს ღუმლების კაპიტალური რემონტის ჩატარებას არა უგვიანეს 1935 წ. თებერ-ვლის თვისა;

დ) განსაზღვრონ იმ გაწყობილობის კონტინგენტი, რაც საჭიროა ადგი-ლობრივი საშენი მასალის წარმოების უფრო შრომატევადი პროცესსების მექა-ნიზაციისათვის, და მოახერხონ, რომ ეს გაწყობილობა მიღებულ იქნეს უკვე 1935 წლის I კვარტალში.

13. ა/კსუსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჟყოს ღრმა-ღელისა, ტევრისა და განჯის აგურის ქარხნებში სამექანი-ზაციონ სამუშაოების დამთავრება 1935 წლის სეზონისათვის.

14. ადგილობრივი საშენი მასალის მრეწველობის საწარმოთა სრულიად გაწ-ყობისა და მექანიზაციის უზრუნველსაყოფად—გადარიცხულ იქნეს 3 პროცენტი რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მმენებლობის ხაზით მე-IV კვარტალში კაპიტალური მშენებლობისათვის გადადებული ყველა ასიგნიდან და

განაწილდეს ეს ანარიცხები ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარია—  
ტის მეშვეობით, და ამ თანხების გამოყენებისათვის სპეციალური კონტროლის  
დაწესებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯულელი.

ა/კსფსრ სახალგო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი

1934 წ. ოქტომბრის 9.  
ტფილისი.

### 170. 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის დამზადების გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ-ში 1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის  
დამზადების გეგმა 151,200 ტონას რაოდენობით და შემდეგი დაყოფით რეს-  
პუბლიკებსა და სექტორებზე:

(ტონნობით)

| რესპუბლიკა                 | სულ        | ა ქ ე დ ა ნ          |                                  |                    |
|----------------------------|------------|----------------------|----------------------------------|--------------------|
|                            |            | საბჭოთა<br>მეურნეობა | სახელშეკრუ-<br>ლებო სექ-<br>ტორი | ნატურსა-<br>შიდელი |
| აზერბაიჯანის სსრ . . . . . | 136.000 *) | 6.700                | 120.300                          | 9.000              |
| სომხეთის სსრ . . . . .     | 12.200     | —                    | 11.200                           | 1.000              |
| აქართველოს სსრ . . . . .   | 3.000      | —                    | 2.740                            | 260                |
| ა/კსფსრ . . . . .          | 151.200    | 6.700                | 134.240                          | 10.260             |

2. დაწესებულ იქნეს ბამბის დამზადების ოვიურია გავრცები:

| რესპუბლიკა                 | სუქტებებისა<br>და ოქტომ-<br>ბერში | ნოემბერში | დეკემბერში | სულ |
|----------------------------|-----------------------------------|-----------|------------|-----|
| აზერბაიჯანის სსრ . . . . . | 61                                | 24        | 5          | 100 |
| სომხეთის სსრ . . . . .     | 60                                | 35        | 5          | 100 |
| აქართველოს სსრ . . . . .   | 60                                | 35        | 5          | 100 |

3. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო  
კომისართა საბჭოებს—შეამოწმონ რაიონებამდე მიწვდენილი, ბამბის დამზადების

\*) აქედან აზერბაიჯანის სსრ-ში 25.100 ტონა ნდლი ბამბი გერმენი იცილის.

გეგმები არა უკვიანეს ოქტომბრის 15-სა და ფართოდ განუმარტონ ყველა მებაშებს, რომ ნედლი ბამბის ჩატარების გეგმა კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური შრომითი მეურნეობებისათვის არის ბამბის მთელი რაოდენობა, რაც მიღებულ იქნება 1934 წლის მოსავლიდან, ხოლო არა ნაკლებ იმ რაოდენობისა, რაც შეპირობებულია საკონტრაქტაციო ხელშექმნებულებით.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დაავალონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, სარაიოხო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს—დაამთავრონ ნებლი ბამბის მოკრეფა არა უგვიანეს 1934 წ. დეკემბრის 5-სა, ხოლო ჩაბარება დამზადებელი პუნქტებისათვის—დეკემბრის 15-დღე.

5. ბრძოლა ბამბის პროდუქციის თვისების გაუმჯობესებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მინდორში ბამბის მოკრეფის წესიერი ორგანიზაციით, სახესხვაობისა, ხარისხისა და სიგრძის მიხედვით. ბამბა მოკრეფილ უნდა იქნეს აუცილებლად მოწეული, მშრალი, გაუნაგვიანებელი და ნორმალური სინოტივისა, რაც არ უნდა აღემატებოდეს 6118 და 6119 საკავშირო სტანდარტებით დადგენილ კონდიციებს.

ამ მიზნით საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) მიეცეს კოლექტიური მეურნეობების გამგეობათ და ბრიგადირებს უფლება ასწიონ ან დასწიონ შრომა-დღეების დარიცხვა 10-15 პროცენტით თვითეული კოლმეურნის მიერ ჩატარებული მოკრეფის ხარისხის კვალობაზე;

ბ) დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მებაძების ტრესტებს—ბამბის ჩაბარების გეგმის გარამეტებით შესრულებისათვის კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების პურით დაპრემიება აწარმოონ აუცილებლად ანგარიშში არა მარტო გეგმის გადამეტებით შესრულებისა, არამედ აგრეთვე ჩაბარებული ბამბის თვისების მიღებით;

გ) დაევალოს რესპუბლიკების მებამბეობის ტრესტებს—შოაწყონ დამშვადებელ პუნქტებსა და ბამბის ქარხებში ნებლი ბამბის მიღება, დახარისხება, შენახვა, ტრანსპორტირება და გაწმენდა ცალცალკე ბოტანიკური სახესხვაობისა, სამრეწველო ჯიშებისა, კლასებისა და სიგრძის მიხედვით, ხოლო სათესლე ნედლეულისა—აგრეთვე ჯიშობის მიხედვით (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სერტიფიკაცით, რაც შედგენილ იქნება სამინდვრე აპრობაციის თანახმად),—აწარმოონ-რა თანაც ჯიშობითი დასაქონლება პურით.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოსცენ სპეციალური დადგენილება კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების პასუხისმგებლობის თაობაზე მეურნეობაში ნებლი ბამბის ჩარჩენისათვის პირად საჭიროებად.

აირძოლოს ბამბის მოკრეფისათვის ანგარიშის გასწორება ნატურად (ბამბით), ნედლეულის ბაზარში გაყიდვა, ბამბისაგან საშინამრეწველო ნაკეთობათა წარმოება და აგრეთვე აეკრძალოს ყველა პირს და ორგანიზაციას, სათანადო

სახელმწიფო ორგანიზაციის გარდა, ნედლი ბამბის და ბამბის საშინამრეწველო ნაკეთობის რეინისგზით გადაზიდვა და ფოსტით გაგზავნა.

7. დატოვებულ იქნეს ისეთივე ხარასხობითი ფასები და მიღებული ბამბისათვის ანგარიშის გასწორების წესი, რაც 1933 წლს არსებობდა.

8. დაევალოს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ ში, ა/კსფსრ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს და „ა/კ. კივშირის“—უზრუნველჰქონ ბამბისა, გადაზიდვისა და ბამბადამზადების სისტემის მუშათა მომარაგებისათვის მე IV კვარტალში გამოყოფილი სასურსათო და სამრეწველო საქონლის თავის დროზე მიწოდება და რეალიზაცია.

9. „1934 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ“ გამოცემული, ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. თებერვლის 7-ის დადგენილების განსავითარებლად (ა/ქსფსრ კან. კრ. 1934 წ. 3-4 № ი, მუხ. 45) დაევალოს რესპუბლიკური მებამბეობის ტრესტებს პური ინდივიდუალურ მეურნეობებს აძლიონ 50 კილოგრამის რაოდენობით მათ მიერ ჩასაბარებელ თითო ცენტრერ ნედლ ბამბაზე.

10. ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკური სახალხო კომისართა საბჭოებმა და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სამანქანო სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა:

ა) უნდა ყრძალონ ბამბის დამზადების კამპანიის პერიოდში საბამბე ქარხნებისა და დამზადებელი პუნქტების მომუშავეთა მობილიზაცია სხვა სამუშაოებისათვის;

ბ) უზრუნველჲყონ სახელმწიფო ნედლი ბამბის მუყაითი დაცვა კოლექტიურ მეურნეობებსა, დამზადებელ პუნქტებსა და ქარხნებში და აძლიონ სასტიკ პასუხისმგებაში ყველა დამნაშავე პირი ნედლი ბამბისა, სათესი თესლისა და ბოჭკოს გატაცებისა და გაფუჭებისათვის;

გ) დავალონ მებამბეობის ტრესტებს—მოაწყონ მებამბეებისათვის კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევა ქარხნებსა და დამზადებელ პუნქტებში;

დ) დაავალონ სამომხმარებლო კოოპერაციისა და შინავაჭრობის ორგანიზებს საბამბე რაიონებში—უზრუნველჲყონ საკონპერაციო და სახელმწიფო ვაჭრობის ფარდულების გახსნა დამზადებელ პუნქტებსა და ქარხნებში ბამბის ჩამბარებლების მოსამარაგებლად პირველი საჭიროების პროდუქტებით და სამრეწველო საქონლით;

ე) გაუწიონ საჭირო დახმარება დამზადებელ პუნქტებს და ბამბასაწენდ ქარხნებს ნედლი ბამბის დაუცადებელი მიღებისა და დამუშავების საქმეში;

ვ) უზრუნველჲყონ, რათა კოლექტიურმა მეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და ინდივიდუალურმა მეურნეობებმა ამერიკული და ევროპული ჯიშის, ნედლი ბამბა ჩაბარებონ სტანდარტების სრული შესაბამისობით, აწარმოონ რავადამწყვეტი ბრძალა მოუწეველი ბამბის მოკრეფასთან და სტანდარტით დადგენილ სინოტივეზე უფრო ნოტიო ბამბის ჩაბარებისა და მიღებასთან;



%) გაუწიონ დახმარება ბამბასაწმენდ ქარხნებსა და დამმზადებელ პუნქტებს მთლად იმ ტარას შეკრეფაში, რაც არ დაუპრუნებიათ წარსულ წელს კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებს და აგრეთვე იხმარონ ღონისძიებანი კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების საკუთარი ტარას გამოყენებისათვის (ფასით) ნედლი ბამბის მოსაკრეფად და დამმზადებელ პუნქტებზე მისაზიდალ;

(თ) მობილიზებულქუმონ საჭირო რაოდენობის საწყობები და აგრეთვე ბრეზენტები სხვა ორგანიზაციებისა და გადასცენ იჯარის საფუძვლებზე მებამბეობის ტრესტებს და ბამბასაწმენდ ქარხნებს ბამბის დამზადების კამპანიის განვალობაში;

(ი) ხელი შეუწყონ ბამბასაწმენდ ქარხნებსა და დამმზადებელ პუნქტებს მუშების მოგრავებაში კოლექტიურ მეურნეობათა შორის და სოფლად სახეზონო მუშაობისათვის ქარხნებსა და დამმზადებელ პუნქტებში.

11. დაევალოს რესპუბლიკების მებამბეობის ტრესტებს—წარუდვინონ ხოლმე დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და სსრკ-ის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ინსპექციას ა/კსფსრ-ში, დალგენილი ფორმების მიხედვით, ყოველდღიური და ხუთდღიური ჯუმლები ნედლი ბამბის დამზადების მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯულელი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ, ტატულოვი

1934 წ. ოქტომბრის 10.

ტფილისი.

**171. 1934 წლის მოსავლის ყვითელი თამბაქოს დამზადების გეგმისა და ამ დამზადების ორგანიზაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ-ში 1934 წლის მოსავლის ყვითელი თამბაქოს დამზადების გეგმა, ვადამდე დამზადების ჩართვით, შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებზე:

(ტონობით)

| რესპუბლიკური                                      | ცისფეხვა<br>გეგმი | თ ვ ე ე ბ ზ ე გ ა ნ ა ჭ ი ლ ე ბ ა |                 |         |           |             |           |         |
|---|-------------------|-----------------------------------|-----------------|---------|-----------|-------------|-----------|---------|
|   |                   | ლ ე ბ რ ე ბ ა ს                   | ლ ე ბ რ ე ბ ა ს | ნ ი ლ ი | უ ს ი ლ ი | ი ნ დ ი ლ ი | თ ე ბ ლ ი | მ ა რ ი |
| აზერბაიჯანის სსრ . . . . .                        | 2.100             | 350                               | 200             | 350     | 550       | 400         | 250       | —       |
| სომხეთის სსრ . . . . .                            | 1.400             | 250                               | 150             | 250     | 350       | 300         | 100       | —       |
| (აქედან ლამბალოს საბჭოთა<br>მეურნეობაში—200 ტონა) |                   |                                   |                 |         |           |             |           |         |
| საქართველოს სსრ . . . . .                         | 4.700             | 800                               | 500             | 1.000   | 1.500     | 700         | 200       | —       |
| აფხაზეთის ასსრ . . . . .                          | 7.900             | —                                 | —               | —       | 2.000     | 3.000       | 1.400     | 500     |
| ა/კსფსრ . . . . .                                 | 15.100            | 1.400                             | 850             | 1.600   | 4.400     | 4.400       | 1.950     | 500     |

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპონტიკების სახალხო კომისარ-  
თად საბჭოებმა და ათხაზეთის ასსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა  
უძღა გაანაწილონ ხუთი დღის ვადაზე დამზადების გეგმა რაიონებსა და სექ-  
ტორებზე (საბჭოთა მეურნეობანი, კოლექტიური მეურნეობანი, სამანქანო სატ-  
რაქტორო სადგურები კოლექტიური მეურნეობანი, რომელთაც მომსახურეობას  
სამანქანო სატრაქტორო სადგურები არ უწევენ, კოლექტიურები განუსახოგადო-  
ებული ნათესებით, ინდივიდუალური, შრომითი მეურნეობანი და მტკიცე დავალე-  
ბანი) და მიაწვდინონ გეგმები რაიონებამდე.

3. დაწესებულ იქნეს, რომ კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური  
მეურნეობებისათვის ყვითელი თამაბაქოს ჩაბარების გეგმა წარმოადგენს მათ ვალ-  
დებულებას, რაც შეპირობებულია საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით, ხოლო  
საბჭოთა მეურნეობებისათვის—ნედლი თამაბაქოს მთელ გამოსახულს.

4. მთელი პასუხისმგებლობა დამზადებელი ორგანიზაციებისათვის თამაბა-  
ქოს ნედლეულის ჩაბარების გეგმის აღსრულების სფეროში დაეკისროს: საბჭოთა  
მეურნეობების ხაზით—საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, იმ კოლექტიური  
მეურნეობების ხაზით, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სად-  
გურები უწევენ,—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კო-  
ლექტიური მეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს, იმ კოლექტიური მეურ-  
ნეობების ხაზით, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურე-  
ობას არ უწევენ,—კოლექტიური მეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს  
და ინდივიდუალური სექტორის ხაზით—სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს.

5. თამაბაქოს ნედლეულის ერთად-ერთ დამზადებლად ყველა სოციალურ  
სექტორში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში, აფხა-  
ზეთის გარდა, დამტკიცებულ იქნეს „სოიუზტაბაკსირიოს“ სისტემა, ხოლო  
ათხაზეთში—„აფთამბაქოს“.

6. მთელი პასუხისმგებლობა თამბაქოს ნედლეულის დამხადების გეგმის აღსრულებისათვის, დაეკისროს „სოიუზტაბაქსირიოს“ სისტემას და „აფთამბაქოს“—კუთვინლებისამებრ.

7. დაევალოს „სოიუზტაბაქსირიოს“ სისტემას და „აფთამბაქოს“ ჩაბარების თამბაქოს ნედლეულის ჩაბარებაში ის ინდივიდუალური მეურნეობანი, რომელთაც თავიანთი თამბაქოს ნათესები არ დაუკონტაქტებიათ,—მოაწყონ. რა თამბაქოს მიღება შემდეგ საჭუდვლეაზე:

ა) თამბაქოს ნედლეულის სავალდებულო ჩაბარების (გაყიდვის) ნორმები განსაზღვრულ იქნეს უწყებულ რაიონში ინდივიდუალური მეურნეობებისათვის დადგენილი ჩაბარების ნორმების შესაბამისად;

ბ) თამბაქოს ნედლეულის სასყიდელო გადახდილ იქნეს უწყებულ რაიონში მომქმედი ფასების მიხედვით;

გ) ჩაბარებულთა დასაქონლება უნდა სწარმოებდეს იშ ნორმების ნახევარი რაოდენობით რაც დაწესებულია უწყებულ რაიონში ინდივიდუალური მეურნეობებისათვის.

8. თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმის აღრულების დაწყებისა და დამთავრების ვადები განისაზღვროს:

|   |   |
|---|---|
| აზერბაიჯანის სსრ-თავის<br>სომხეთის სსრ-თვის | { 1934 წ. ოქტომბრის 1-დან 1935 წ. მარტის 1-მდე; |
|---|---|

|   |   |
|---|---|
| საქართველოს სსრ-თავის<br>აფხაზეთის სსრ-თვის | { 1934 წ. დეკემბრის 1-დან 1935 წ. მარტის 1-მდე. |
|---|---|

9. დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურმა რწმუნებულებმა, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, განსაზღვრონ ხეთი დღის ვადაზე დამშადებელი პუნქტების (სასტაციონარო დამშადებელი პუნქტები და საფერმატაციო ქარხნები) რიცხვი და სამყოფელი ადგილი—ისეთი ვარაუდით, რაც უზრუნველპირუს თამბაქოს ნედლეულის დაუცადებელ მიღებას.

10. თამბაქოს ნედლეულის მიზიდვა მიმღებ-დამშადებელ პუნქტებში და საფერმატაციო ქარხნებში სწარმოებს თამბაქოს ნედლეულის ჩამბარებლების ძალებით.

დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურმა რწმუნებულებმა უნდა დააწესონ თამბაქოს ნედლეულის მიმღებ-დამშადებელ პუნქტებში მიზიდვის რაღიუსი და-მატებითი სასყიდლის გაუღებლად.

11. დაევალოს „სოიუზტაბაქსირიოს“ სისტემას და „აფთამბაქის“:

ა) წარგზავნონ თავიანთი მიმღებნი თამბაქოს ნედლეულის შისალებად დიდონ კოლექტურ მეურნეობებში იმ პირობით, რომ ეს მეურნეობანი განამზადებენ ჩასაბარებლად არა ნაკლებ 200 ცალი ხვეულისა;

ბ) ჩასტარინ ამ მიმღებთა მეშვეობით კოლმეურნეთა ინსტრუქტაჟი თამბაქოს დახარისხების და ცალებად შეკვრისათვის;

გ) გაიღონ კოლექტურ მეურნეობებში მიღებული თამბაქოს ნედლეულის, სასყიდლი კოლექტური მეურნეობების მიერ ამ ნედლეულის სტაციონარულ დამშადებელ პუნქტებში მიზადეთ შემთევ.



12. „კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურობის შრომითი მეურნეობებისაგან ზეგეგმითი წესით თამბაქოს შესყიდვის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივილსის 23-ის თარიღის და 1981 №-ის დადგენილებისა და ა/კსფს სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 1-ის დადგენილების შესაბამისად —დაევალოს „სოიუზტაბაქსირიოს“ სისტემას და „აფთამბაქოს“ —მოაწყონ კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობების განკარგულებაში, მათ მიერ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესრულების შემდეგ, დარჩენილი თამბაქოს ნედლეულის შესყიდვა შეღავათიანი პირობებით, რაც გათვალისწინებულია ზემოაღნიშვნულ დადგანილებებში, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის მიერ თვითეული რესპუბლიკისათვის დადგენილ ვადაშე.

13. დაევალოს „სოიუზტაბაქსირიოს“ და „აფთამბაქის“ —აწარმოონ საექსპორტოდ გადარჩეული თამბაქოს დიფერენცირებული დამუშავება.

14. დაევალოს „სოიუზტაბაკირიოს“ სისტემას —უზრუნველყოს საექსპორტო რაიონებსა და ბუდებში დამზადებული და შესყიდული თამბაქოს მაქსიმალური გადარჩევა საექსპორტოდ.

15. დაევალოს „სოიუზტაბაქსირიოს“ სისტემას და „აფთამბაქოს“ — ტკიცედ დაიცვან პურის გაცემის ნორმები, რაც დიფერენცირებულია ჩასაბარებელი თამბაქოს ხარისხების მიხედვით თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის 1934 წ. აპრილის 20-ის თარიღის და 1327 №-ის დადგენილებისა და შემდგომი განმარტებებისა —საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ მიმართ და თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 25-ის თარიღის და 1042 №-ის დადგენილებისა (აფხაზეთისათვის).

16. დაევალოს დამზადებათა კომიტეტის რესპუბლიკანურ რწმუნებულთ — მიამაგრონ მთლიად „სოიუზტაბაქსირიოს“, „აფთამბაქოს“, „ლექტეხსირიოს“, რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და სარაიონო ოლგამასრულებელი კომიტეტების სისტემებში მყოფი, თამბაქოს საქმის მუნიციპალურებებისა, აგრონომებისა და აგროტექნიკოს-სპეციალისტების კადრები მეთამბავებისა, რაიონებს ან სასოფლო საბჭოებს —მწარმოებელი მეურნეობების პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების შთანერგვისათვის საჭირო მუშაობის ჩასტარებლად და დაკაისრონ მიმაგრებულ პირთ პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი რაიონებისა ან სასოფლო საბჭოებისათვის.

17. დაევალოს „სოიუზტაბაქსირიოს“ და „აფთამბაქოს“ — შეუფარდონ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დამრღვევთ ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყველა სანქცია.

18. დაეკისროს „სოიუზტაბაქსირიოს“ სისტემას და „აფთამბაქოს“ მთელი პასუხისმგებლობა იმისათვის, რათა მათ თავისდროობები და სავსებით შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების მიხედვით კონტრაქტანთ-თამბაქოს ნედლეულის ჩამბარებელთა წინაშე.



დაჩქარებისათვის მოუჩინონ კომისიების სამიმოსელო და საზიდავი საშუალებანი მიმოსელისა და მასალის გადაზიდვისათვის (ავტომანქანები, ცხენები და სხვ.).

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ოქტომბრის 28.  
ტფილისი.

---

**177.** ა/ქსფსრ სარძეო-სასაქონლო ფერმებისათვის ხბოების შესაძენად 300.000 მანების რაოდენობით გადადებული დამატებითი კრედიტის განაწილების შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

ა/ქსფსრ სარძეო-სასაქონლო ფერმებისათვის ხბოების შესყიდვის გეგმის შესაბამისად დამატებით გადადებული კრედიტი 300.000 მან რაოდენობით განაწილებულ იქნეს. რესპუბლიკებზე შემდეგნაირად:

|                                |               |
|--------------------------------|---------------|
| აზერბაიჯანის სსრ-კას . . . . . | 139.000 მან.  |
| სომხეთის სსრ-კას . . . . .     | 93.000 მან.   |
| საქართველოს სსრ-კან . . . . .  | 68.000 მან.   |
| ა/ქსფსრ . . . . .              | 300.000 მანს. |

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ოქტომბრის 28.  
ტფილისი.

---

**178.** „უძროხო კოლმეურნეთათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის თაობაზე“ გამოცემული, ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 16-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

„უძროხო კოლმეურნეთათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის თაობაზე“ გამოცემული, ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემ-



ბრის 16-ის დადგენილების მე-2 მუხლის შესაცელელად დაწესებულიქნეს, რომ სარძო-სასაქონლო ფერმებისათვის ხმოვის შესასყიდად და საკონტრაქტაციოდ გამოყოფილი კრედიტი 300,000 მანეთის რაოდენობით—არის პროცენტიანი კრედიტი 4%, წლიურად, ვადით 4 წლამდე; ხოლო კოლმეურნეთათვის გამოყოფილი კრედიტი 1.000.000 მან. რაოდენობით—არის უპროცენტო კრედიტი 1 წლის ვადით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. შუსაბეჭყავი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა-

საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. რატულოვი.

1934 წ. ოქტომბრის 28.

ტფილისი.

## 179. 1935 წლის გაზაფხულისათვის ტრაქტორის ფერადის მომზადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. 1935 წლის გაზაფხულისათვის საექსპლორაციოდ დასახული სატრაქტორო პარკისა და ტრაქტორის ტეგებისადმი ფაქტიური მოთხოვნილების შესაბამისად დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შეღებებისათვის შემავალი ჩემპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—მოამზადონ, სატრაქტორო სკოლების გარდა, ოთხთვიანი კურსების მეშვეობით 2.700 ტრაქტორისტი; ამათგან:

|                               |   |
|-------------------------------|---|
| აზერბაიჯანის სსრ-ში . . . . . | 1.700 კაცი (მათ შორის 160 კაცი აზერბაიჯანის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობისათვის). |
|-------------------------------|---|

საქართველოს სსრ-ში . . . . . 650 კაცი

სომხეთის სსრ-ში . . . . . 350 კაცი.

2. კურსები მოწყობილ იქნეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან და აზერბაიჯანის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობის საპუთა მეურნეობებთან. მეცადინეობა დაწყებულ იქნეს ა/წ. ნოებრის 10-დან.

3. პასუხისმგებლობა მსმენელთა თავისიღრიშე მოგროვებისათვის, მასწავლებლთა შეღებენილობის შერჩევისათვის და კურსების სადგომებით და საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის დაეკისროს სამანქანო სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს.

4. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველყოს კურსების დაუცადებელი დაფინანსება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე გ. შუსაბეჭყავი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. რატულოვი.

1934 წ. ოქტომბრის 28.

ტფილისი.



**180. კომბაინერთა სკოლებში მოწაფეთა მეორედ მოგროვების შესახებ..**

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს კომბაინერთა სკოლებში მოწაფეთა მეორე მოზროვების კონტინგენტი ა/ქსფსრ-ში 60 კაცის რაოდენობით; მათგან: აზერბაიჯანის სსრ-ში—30 კაცი და სომხეთის სსრ-ში—30 კაცი; მეცადინეობის დაწყების ვადად დაინიშნოს: აზერბაიჯანის სსრ-ში 1934 წ. ოქტომბრის 20, ხოლო სომხეთის სსრ ში—ნოემბრის 1-ლი.

2. აზერბაიჯანის სსრ-ში კომბაინერების მომზადება ჩატარებული იქნეს უკვე არსებულ ასტრახან-ბაზარის სკოლაში ხოლო სომხეთის სსრ-ში—ახლად მოსაწყობ სკოლაში. სწავლების ვადა განისაზღვროს 6 თვით.

3. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა და ა/ქსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყონ სკოლები სასწავლო სადგომით, საერთო საცხოვრებლით და გაწყობილობით (1 კომბაინი, 1 ტრაქტორი და სახელოსნოები).

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულოვი.

1934 წ. ოქტომბრის 28.  
ტფილისი.

**181. 1934 წლის მე-IV კვარტალში ა/ქსფსრ-თვის შემოსაზიდი ტრაქტორების განაწილების შესახებ.**

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს მე-IV კვარტალში ა/ქსფსრ-თვის შემოსაზიდი ტრაქტორების შემდეგი განაწილება რესპუბლიკებზე:

|                            | CT3 და XT3 | 4T3 | სახნავი ტრ. |
|----------------------------|------------|-----|-------------|
| აზერბაიჯანის სსრ . . . . . | 200        | 20  | 220         |
| სომხეთის სსრ . . . . .     | 50         | 8   | 30          |
| საქართველოს სსრ . . . . .  | 50         | 12  | 20          |
| ს უ ლ ა/ქსფსრ-ში . . .     | 300        | 40  | 270         |

2. მიენდოს ა/ქსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/ქსფსრ შეღენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში—აცნობონ ერთი დღის ვადაზე სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო



კომისარიატს შემოსაზიდი ტრაქტორების განაწილება სამანქანო-სატრაქტორო  
სამდგურებზე.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუხაბეკოვი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმარველი ლ. ტაფულოვი.

1934 წ. ოქტომბრის 28.  
ტფილისი.

---

**182.** აზერბაიჯანში 1934/35 წელს სომხეთის და საქართველოს მეცხვარეებისათვის ზამთრის საძოვრების გამოყოფის შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადასტურებულ იქნეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 8-ის გადაწყვეტილება აზერბაიჯანის სსრ-ში 1934/35 წლის ზამთრის პერიოდში სომხეთის სსრ-ის მეცხვარეებისათვის 23.500 ჰექტარი და საქართველოს სსრ მეცხვარეებისათვის 27.500 ჰექტარი ვარგისი საძოვრების გამოყოფის შესახებ.

2. მიღებულ იქნეს გამოყოფილი საძოვრების შემდეგი განაწილება:

| აზერბაიჯანის სსრ რაიონები, რომლებშიაც გამოყოფა საძოვრები. | სომხეთის სსრ სამხეთის სსრ საქართ. სსრ-თვის მისაჩენი თვის მისაჩენი საძოვრების ფათობები | საბჭო. მეცხ. მეურის ფართობები. |
|---|---|--------------------------------|
| ყაზახს რაიონი .   | 6.000   | 2.500                          |
| თაუზის „ .  | 4.000   | —                              |
| ზანგელანის „ .  | 5.500   | —                              |
| ნახიჩევანის ასსრ .  | 8.000   | —                              |
| სამუხის რაიონი . .  | —   | 22.000 საბჭ. მეცხ. მეურის.     |
| სამუხის „ . .   |   | 3.000                          |
| სულ . .   | 23.500  | 27.500                         |

3. წინადადება მიეცეს ა/ქსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყონ

ერთი დეკადის ვადაზე, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, აღნიშნული ფართობების ნატურად გამოყოფა.

4. მიენდოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — შეიმუშაოს საკითხი 1934/35 წლის განმავლობაში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების ფონდების შესწავლის შესახებ — ამ საძოვრების სრულად და რაციონალურად გამოყენებისა და ხანგრძლივად მომხმარებლებზე მიმაგრებისათვის, და შემოიტანის ორი თვის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში განსახილველად თავისი წინადადებანი.

5. დაწესებულ იქნეს, რომ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის გადასაცემ ნაკვეთზე ქონებული ქოშარები უნდა ენაზღაუროს სამუხის საბჭოთა მეურნეობას სათანადო შენობებით, რომელებსაც ააგებს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, საბჭოთა მეურნეობის მითითებით, საქონლის ზამთარში მოთავსების დროისთვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ტატულიავი.

1934 წ. ოქტომბრის 28.  
ტფილისი.

---

**183. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში ტრაქტორებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომანქანების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის მომზადებისა და ჩატარებისა შესახებ.**

ტრაქტორებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომანქანების რემონტის თავისდროზე და კარგად ჩატარებისა და 1935 წლის საგაზაფხულო თესვის სამუშაოების აღსრულებისათვის განმზადების მიზნით — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — მოწყონ შემოწმება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების სარემონტო სახელოსნოების მზადყოფნისა საშემოდგომო-საზამთრო რემონტის ჩასატარებლად.

შემოწმების ამოცანად მიჩნეულ უნდა იქნეს არსებული სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სადგომებში ყოველგვარი-რამ დაუბოლოვებლობის (იატაკების მოკირწყვლა, მინების ჩასმა, გათბობა და სხვა მისთ.) თავიდან აცილება

და დაზებისა ხელსაშეუებისა და ინსტრუმენტების რემონტის თავის დროზე დამ-  
თავება.

2. 1934 წ. ნოემბრის 1-თვის დამთავრებულ იქნეს 1933 წლიდან გადატა-  
ნილი მშენებლობა შემდეგი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა: სარდარაბა-  
ზისა, ყარაღლონლისა, ქურდამირისა, ნორაშინისა, ნუხისა, ბარიდისა, აღჯაბედისა,  
სალიანისა, ხაჩმაზისა, სტეფანავანისა, არტიკისა, აშტარაკისა, სენაკისა. ზუგდი-  
დისა, ოჩემჩირისა, ყარაისა, ლაგოდეხისა, გურჯაანისა და კასპის სადგურებისა,  
და ყოველი ღონისძიებით დაჩარებულ იქნეს 1934 წ. გეგმით გათვალისწინე-  
ბული სახელოსნოების მშენებლობის დამთავრება.

3. დარემონტებული და ახლად აგებული სახელოსნოების მიღება ჩატარე-  
ბულ იქნეს სპეციალური კომისიების მეშვეობით რესპუბლიკების მიწათმოქმედე-  
ბის სახალხო კომისარიატების, წარმომადგენლებისა, სამანქანო-სატრაქტორო  
სადგურების დირექტორებისა პოლიტიკურ განყოფილებათა უფროსებისა და  
სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა კომიტეტების თავმჯდომარების  
შედგენილობით.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკე-  
ბის სახალხო-კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კო-  
მისარიატებს—წარუდგინონ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს  
ჩატარებული ტექნიკური გასინჯვის საფუძველზე შეღვენილი გეგმები ტრაქტო-  
რების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ავტომანქანების საშემოდგომო-სა-  
ზამთრო რემონტებას.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა წარმოუდგინოს  
არა უგვიანეს 1934 წ. ნოემბრის 1-სა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და-  
სამტკიცებლად გეგმა ტრაქტორების კაბიტალური და საშუალო რემონტისა  
1934 წ. მე-IV კვარტალში და 1935 წ. I-ლ კვარტალში.

5. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა არა უგვიანეს 1934 წ.  
ნოემბრის 1-სა უნდა წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წანადა-  
დებანი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემისა და სხვა სამეურნეო  
ორგანიზაციებისათვის იმ უცხოური მარკის მანქანების გადაცემის შესახებ, რომ-  
ლებიც უზრუნველყოფილი არ არის კომპლექტურ-რთული სათაღარიგო ნაწი-  
ლებით.

6. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დი-  
რექტორებმა არ უნდა დაუცადონ რემონტის გეგმის დამტკიცებას და დაუყოვ-  
ნებლივ, საშემოდგომო სამუშაოებისაგან მათი განთავისუფლებისათანავე, უნდა  
გაშალონ ტრაქტორებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომანქანების  
რემონტი.

7. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების  
სახალხო კომისარიატებმა ნოემბრის 5-თვის უნდა დაამთავრონ სამანქანო-სატ-  
რაქტორო სადგურების მიმაგრება სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოებზე, ან-  
გარიშმი ამ უკანასკნელთა გამტარუნარიანობის მიღებით.

8. სათაღარიგო ნაწილებით და სარემონტო მასალით ტრაქტორებისა, სა-  
სოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომანქანების საშემოდგომო-საზამთრო

რემონტის უზრუნველსაყოფად — ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მართვის „ვატოზაპჩასტსბიტონ“ ერთად, უნდა გამოარკვიონ სათადარივო ნაწილებისა და სარემონტო მასალის ზედმიწევნითი რაოდენობა, რაც „ვატოზაპჩასტსბიტის“, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწყობებშია 1934 წ. ოქტომბრის 1-თვის, და გადასცენ ზედმეტი სათადარივო ნაწილები „ვატოზაპჩასტსბიტის“ განყოფილებებს — სხვა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის რეალიზაციისათვის. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და „ვატოზაპჩასტსბიტმა“ უნდა წარუდგინონ სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „სოლუციუროზაპჩასტსბიტის“, საქართველო-სახამორო რემონტის გეგმასთან ერთად, განაცხადი საჭირო რაოდენობის სათადარივო ნაწილებზე (ნოემბრის 1-თვის).

9. რემონტის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად დაინიშნოს თვითეულ სახელოსნოში მებრაკე-კონტროლიორი, რომელიც ექვემდებარება სახელოსნოს გამგეს.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა ჩაატარონ მებრაკე-კონტროლიორების სპეციალური თათბირები რემონტის თვისებისა, დეტალების დაბრაკვისა და სხვა მისთ. საკითხებზე.

10. წინადაღება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტს — დამზადონ, ტრაქტორების დარემონტებული ძრავების გამოსაცდელად ცდის სახით, სამი სამუხრუჭო დანადგამი „პრონი“ და წარგზავნონ თითო ეს დანადგამი თვითეულ რესპუბლიკაში.

11. დაევალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს — უზრუნველპყონ, მათი სარემონტო გეგმების შესაბამისად, სახელოსნოები მერემონტებებისა და ზეინკლების კადრებით, რისთვისაც გამოიყენონ სარემონტო და სატრაქტორო ბრიგადირები სამინდერე სამუშაოების დამთავრებისას და შემდგომ მათი საწილი მიამაგრონ სახელოსნოებს.

12. მუშათა კვალიფიცირებული კადრების სახელოსნოებზე მიმაგრების შიზნით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და სარაიონო ილმასრულებელმა კომიტეტებმა:

ა) უნდა გამოჰყონ საჭირო სადგომები საერთო საცხოვრებლებისათვის და თავის დროზე შეაკეთონ ეს სადგომები.

ბ) უნდა ჩაატარონ საჭირო რაოდენობის პროდუქტების დამზადება მომარაგებისა და საზოგადოებრივი კვების მოსაწყობად სარემონტო სამუშაოების განმავლობაში.

13. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა, სათანადო საპროფესიული არგანიზაციებთან ერთად, უნდა დაწესონ

პრემიები სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, სამანქანო-სატრაქტორო სახელმწიფო ბინაებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, მათი ხელმძღვანელებისა და დამკარელების დასაბრემიებლად სამანქანო-სატრაქტორო—სადგურებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების სამანქანო-სატრაქტორო პარკის საშემოდგომო-საზამთრო რემონტის საუკეთესო თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ლ. ფაფულავა.

1934 წ. ოქტომბრის 28.

ტფილისი.



საქ. სახკომისაბჭოს სტამბა